ქარხანა, ოჯახი და სამეზობლო: არაფორმალური შრომის პოლიტიკური ეკონომია შეფილდში

ავტორი: მასიმილიანო მოლონა

მთარგმნელი: გიორგი ჩუბინიძე

‘ენდკლიფი’ ყოფილი ინდუსტრიული ზონაა შეფილდის აღმოსავლეთ მხარეში, ბრიტანეტში.[1] ენდკლიფის გზაზე, რომელიც მთის გავლით ენდკლიფის სასაფლაოსკენ მიდის, შიგადაშიგ ერთმანეთისგან განსხვავებული შენობები გვხდება, რომელთაგან ზოგიერთს ქვემოთ დავუბრუნდებით: ჯართის ჩამბარელები პუნქტები, მიტოვებული ვიქტორიანული საამქროები, ბოშათა საცხოვრებლები, ქოლ ცენტრები, ფანჯრებ აჭედილი სათემო ცენტრები, ელექტროტექნიკის მაღაზიები, შეფილდის მოედანი, ბინგო ცენტრი, ჯონის ‘სვეპ შოპი’, მეორადი ხელსაწყოების მაღაზია, ‘ბერძნული’ და ელიზიუმის ბორდელი, ხალიდის პაბი, მილის ‘ბლეკ სპეროუ’. სასაფლაოზე გარდაცვლილი ფოლადსასხმელი ქარხნის მუშათა საფლავები დიდ ფოლადის ქარხნებსა და საამქროებს გადაჰყურებს, რომლებიც მდინარე დონის ნაპირზე არიან განლაგებული. ადგილობრივი მეწარმეებისა და პარლამენტარების საფლავის ქვები ქუჩას უყურებენ, რომლებსაც სერიოზული წინადადებები აქვთ წაწერილი და წრიულად ისე არიან განლაგებული, თითქოს შეხვედრაზე იყვნენ. 1865 წელს მარქსის მიერ აღწერილმა ახალი დესპოტური კაპიტალიზმის პირმშომ და დღეს უკვე მდინარე დონის ზედაპირზე არეკლილმა მრავალმა მიტოვებულმა ფაბრიკამ გაფართოებების, ნაციონალიზებების, რაციონალიზებების და დახურვების ხანგრძლივი ისტორია გამოიარა, სანამ დღევანდელ გაპარტახებულ და მშვიდ მდგომარეობას არ მიაღწიას. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ადგილობრივი სათათბიროს განვითარების პოლიტიკებმა ენდკლიფის ინდუსტრიული პეიზაჟისგან, დასასვენებელი სამოთხე შექმნეს, რომელსაც ადრე ‘ვიზუალურად იყო დაბინძურებული აუტანელი ჯართის პუნქტებით, მანქანების ნაწილებად დამშლელი დაწესებულებებით და ადგილობრივი ფოლადისა და რკინის ინდუსტრიის სხვა არა კაპიტალ-ინტენსიური ბიზნესებით (Sheffield City Council 1986: 153). მდინარე დონი გაიწმინდა, მისი პეიზაჟი ეგზოტიკური მცენარეებით შეივსო და მასში კალმახი და ორაგული ახლიდან გამრავლდა.

ოფიციალურ სტატისტიკებში ენდკლიფი კლასიფიცირებულია, როგორც ‘ურბანული დეპრივაციის არე’.[2] ის ინგლისის ოცდახუთ უღარიბეს ოლქს შორისაა, სადაც ერთ ოჯახზე საშუალო აღრიცხული შემოსავალი 4000 ფუნტია, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 25 პროცენტია.[3] მთლიანად შეფილდთან შედარებით, ენდკლიფს სიკვდილიანობისა და განქორწინების, ნარკოტიკების მოხმარების, პროსტიტუციისა და

---

[1] მე შეფილდში ვცხოვრობდი და მორისში არაკვალიფიცირებულ მუშად ვმუშაობდი 1999 წლის სექტემბრიდან 2001 წლის მარტამდე. მე შევცვალე იმ რაიონის სახელი რომელშიც ვცხოვრობდი, ასევე ქარხნის რომელშიც ვმუშაობდი და ინფორმატების სახელები ამ სტატიაში გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათის გამო, რათა რისკის ქვეშ არ დამეყენებია ჩემი ინფორმანტები.

[2] შეფილდის ოლქის სტატისტიკა.

[3] გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის ნახევარი — ჩემი საველე მუშაობის დროს 14,700 — საბინაო შემწეობას იღებს, ხოლო ოჯახების თითქმის 50 პროცენტი საშემოსავლო დახმარებას (შეფილდის ოლქის სტატისტიკა).

დანაშაულის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს. უკიდურესი სიღარიბისა და ეკონომიკური სტაგნაციის ამ სურათის მიუხედავად, ჩემი საველე კვლევა აჩვენებს, რომ ანაზღაურებად სამსახურისთვის არაფორმალური ეკონომიკური აქტივობების შეთავსებით ენდკლიფელები ახერხებენ შექმნან, რასაც ისინი 'ღირსეულ ცხოვრებას' უწოდებენ. მაგალთად, ჩემი კვლევა აჩვენებს რომ ოთხიდან ერთი ადამიანი არაფორმალურადაა თვითდასაქმებული, რომ მოსახლეობის ნახევარს ერთზე მეტი სამსახური აქვს და რომ ოფიციალური სტატისტიკების განსხვავებით, ოჯახის რეალურიმსაშუალო შემოსავალი დაახლოებით 17000 ფუნტია.[4]

ენდკლიფის არაფორმალური ეკონომიკა ოთხი ტიპის აქტივობაზეა დამოკიდებული: პირველი, უკანონო აქტივობები — ნარკოტიკებით, სექსითა და მოპარული საქონლით ვაჭრობა — სერვისებისა და საქონლის ურთიერთგაცვლა ადგილობრივ პაბებში და კარმიდამოებში; მეორე, არაოფიციალურიად და ქვეკონტრაქტორის როლში ანაზღაურებადი სამუშაოები მთავარ ფოლადის და სამშენებლო კონტრაქტორებთან, ღამის სამსახურები, ჯართით, დანადგარებითა და ხელსაწყოებით ვაჭრობა; მესამე, ადგილობრივ მცირე კაპიტალისტებთან არაოფიციალურ ქვეკონტრაქტორებად მუშაობა; დაბოლოს, სახელმწიფოსგან მიღებული სოციალური დახმარებები. არაფორმალური ეკონომიკის ეს ოთხი შრე სახელმწიფოს, ქარხნისა და სამეზობლოს დონეზეა მოცემული.

არაფორმალური ეკონომიკა

არაფორმალურ ეკონომიკაზე ჩატარებული რიგი კვლევები ამტკიცებს, რომ არაფორმალური ეკონომიკური პროცესები დეინდუსტრიალიზების შედეგად ვიტარდება (Lupton 2001; Mingione 1983). ეს კვლევები ყურადღებას ამახვილებს იმ უფსკრულზე რაც ფორმალურ და არაფორმალურ ეკონომიკურ პროცესებს ერთმანეთისგან აშორებს, იმ ადამიანების მზარდ გარიყულობაზე, რომლებიც არაფორმალურ და უკანონო აქტივობებში არიან ჩართულები, და ამ აქტივობების ფუნქციაზე, რომელიც სახელმწიფოსგან და საშუალო კლასებისგან მიღებულ რესურსებს სოციალურად არაპრივილეგირებულებში ანაწილებს.

სხვა კვლევები ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკური პროცესების ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებს. ზოგიერთი ავტორი (Leonard 1998; Portes & Walton 1981; Standing 1989) ამ ურთიერთდამოკიდებულებას კაპიტალისტური რესტრუქტურირების კონტექსტში განიხილავს. სხვები კი მას 'ცენტრისა' და 'პერიფერიის' ქვეყნების ურთიერთობის ფართო კონტექსტში განიხილავენ ან კაპიტალისტური და არაკაპიტალისტურ საზოგადოებების კონტექსტში (Meillassoux 1981). ეს ავტორები ამტკიცებენ რომ არაფორმალური ეკონომიკის ექსპლუატაციური პოტენციალი მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ არაფორმალური ეკონომიკა ფორმალური ეკონომიკის მთავარი კონტრაქტორებისთვის იძლევა იაფ, პროფკავშირებში გაუწევრიანებელ და მოქნილ სამუშაო ძალას.

[4] ჩემი საკვლევი ჯგუფი ენდკლიფის ყველა მკვიდრს, დაახლოებით 4000 ადამიანს მოიცავს.

მკვლევართა მესამე ჯგუფი (Fortunati 1995; Redclift 1985) საშინაო და არაფორმალურ ეკონომიკას განიხილავს ნათესაობრივი კავშირების მეშვეობით ქალთა და ბავშვთა აუნაზღაურებელი შრომის ერთგვარ კაპიტალისტურ მითვისებად.[5]

ე.წ. 'საარსებო საშუალებების' [means of livelihood] მკვლევრები (Gershuny & Miles 1985; Hart 1973; Pahl 1984) უარყოფენ მაკრო და ფორმალურ ეკონომიკურ პროცესებზე ფოკუსირებულ ანალიზს, რომელიც ქარხნების სივრცეში ხდება და ნაცვლად ყურადღებას ამახვილებენ წარმოებისა და კვლავწარმოების ადგილობრივ, ინდივიდუალურ და არაფორმალურ სტრატეგიებზე, რომელიც ოჯახის და/ან თემის სივრცეში ხდება. მაგალითად, კიიტ ჰარტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში 'განაში არაფორმალური საშემოსავლო შესაძლებლობები და ურბანული დასაქმება' (1973), ის აჩვენებს რომ აკკრაში (განა) ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკა ერთმანეთთაც განუცალკევებლადაა დაკავშირებული. ის არაფორმალური ეკონომიკის დასავლურ წარმოდგენის დეკონსტრუქციას ახდენს, რომელშიც არაფორმალური აქტივობები მარგინალურად და ნარჩენადაა წარმოდგენილი და აჩვენებს ამ აქტივობების მხარდამჭერ რთულ სოციალურ ქსელებს, აკკრას არაფორმალური ეკონომიკის უაღრესად დივერსიფიცირებულობას და პირად თავისუფლებასა და 'მაგნიტის' მსგავს მიმზიდველობას (Hart 1988: 190), რომელიც ღარიბულ დასახლებებში ცხოვრებასთანაა ასოცირებული. ჰარტის სტატია არაფორმალური ეკონომიკის გამნაწილებელ ეფექტს განიხილავს და აჩვენებს რომ 'უმუშევარი' და 'დასაქმებული' სტატისტიკური აბსტრაქციებია, რომლებიც არ ასახავენ დასაქმებულობასა და უმუშევრობის შემწეობას შორის არსებული ეკონომიკური აქტივობების მრავალფეროვნებას.

ბოლო დროს, 'საარსებო საშუალებების' მკლევრები ამტკიცებენ რომ პოსტმოდერნული და მოქნილი ეკონომიკური პროცესები გულისხმობს გადასვლას ფორმალური დასაქმებიდან და სამსახურის ეკონომიკიდან არაფორმალურ შრომაზე და სათემო და საკარმიდამო ეკონომიკაზე [household economy]. ისინი ზოგადად თანხმდებიან ადამიანებზე ამ უკანასკნელის გამაძლიერებელ [empowering] გავლენაზე, საპირისპიროდ იერარქიული და ექსპლუატაციური ურთიერთობებისა, რომელიც გასაქონლებული ანაზღაურებადი სამსახურების სფეროში ვითარდება. მაგალითად, პელის (1984; 1990) და პელისა და უოლასის (1985) დეტალური ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ ბრიტანეთის არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ადამიანების დიდი ნაწილი დასაქმებულ სამუშაო ძალას წარმოადგენენ. პელისთვის ეს მარქსისტი მკვლევრების საწინააღმდეგო არგუმენტია, რომელთათვისაც არაფორმალური შრომა ბუნებით ექსპლუატაციურია და ამტკიცებს რომ ადამიანებს, პირიქით, შეიძლება თავად უნდოდეთ არაფორმალურ აქტივობებში ჩართვა და არ იყვნენ უმუშევრობითა და სიღარიბით იძულებულები. 'საარსებო საშუალებების' მკვლევრები სწორად ამახვილებენ ყურადღებას იმაზე თუ როგორ აქტიურად ახდენენ ადამიანები ქარხანაში ფორმალური დასაქმების — კარმიდამოში ან თემში არაფორმალური სამუშაოსთან კომბინირებას. ასე, ეს მკვლევრები აპრობლემურებენ თავად ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკების გაყოფას. ისინი უარყოფენ ძველად ინდუსტრიალიზებულ მშრომელთა გაარაფორმალურების და კაპიტალისტური სოციალური ურთიერთოებების საშინაო სფეროში კვლავწარმოების ექსპლუატაციურ

[5] ეს მიმართულება ძირითადად საფუძველს იღებს ენგელსის ნაშრომიდან 'ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა' (1972 [1884]).

პროტენციალს. უფრო ზოგადად, მცირე გამონაკლისების გამოკლებით (მაგ. Geertz 1963; Goddard 1996; Hart 1988), არაფორმალური ეკონომიკის კვლევები ანალიზის მაკრო და მიკრო დონეებს შორის მერყეობს, ქარხანასა და კარმიდამოს შორის; ერთი მხრივ, წარმოებისა და სახელფასო ეკონომიკის კაპიტალისტურ ექსპლუატაციაზე ფოკუსსა და, მეორე მხრივ, კვლავწარმოების სფეროში მშრომელთა სტრატეგიებს შორის.

ამ სტატიაში, მე შევეცდები ჩემი საამქროების ეთნოგრაფიის, სამეზობლოსა და სახელმწიფოს უფრო ფართო პოლიტიკურ ეკონომიაში განხილვით, მიკრო და მაკრო ანალიზი ერთმანეთს შევუთავსო. მეიასუს მსგავსად, მე ყურადღებას ვამახვილებ საშინაო და არაფორმალური ეკონომიკების ორგანულ კავშირზე ანაზღაურებად ეკონომიკასთან, ასევე, კაპიტალისტური ინტერესების კვლავწარმოებაში საშინაო შრომის როლზე. თუმცა, როგორც რედკლიფტი (1985) აჩვენებს, მეიასუ ზედმეტად ფოკუსირდება კაპიტალის ძალაზე საშინაო შრომის ექსპლუატაციაში და უგულვებელყოფს სხვადასხვა სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში კაპიტალისტური ურთიერთობების განსხვავებულ ფორმებს, ასევე, განსხვავებულ იდეოლოგიებსა და კულტურულ კონსტრუქციებს, რომლებიც ქალთა და ბავშვთა შრომის კაპიტალისტური ექსპლუატაციის ლეგიტიმიზებას ახდენენ. შეფილდში, შრომით ბაზარში, მანუფაქტურული სექტორში და ეროვნულ და ადგილობრივ ეკონომიკაში და სოციალურ პოლიტიკებში მიმდინარე ცვლილებებმა გააცოცხლა გაფართოებული ოჯახის ფუნქცია. საინტერესო აქ ის 'ფაქტი' კი არაა, რომ გაფართოებული ოჯახის იდეოლოგია კაპიტალისტური სახელმწიფოს ინტერესების კვლავწარმოებას ახდენს, არამედ ფორმა რომელიც ამ იდეოლოგიამ შეიძინა და ასევე პროცესი, რომლის მეშვეობით კაცი ანაზღაურებადი-მუშები, ფორტუნატის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'კაპიტალისტთა წარმომადგენლები' (1995: 33) გახდნენ ოჯახებში [household]. ანაზღაურებად მშრომელთა საშინაო კაპიტალისტებად გარდაქმნა მიგვითითებს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობები ქარხნისა და ოჯახის განსხვავებულ კონტექსტებში განსხვავებულ ფორმებს იღებს. ჩემს სტატიაში ყურადღებას ვამახვილებ იმ სხვადასხვანაირ არაფორმალურ ეკონომიკურ კონფიგურაციებზე, რომლებიც ქარხნის, ოჯახისა და სამეზობლოს განსხვავებულ კონტექსტებში ყალიბდება და რომლებიც ბუნდოვანს ხდიან კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებსა და კაპიტალისთვის შრომის რეალურ დაქვემდებარებას [real subsumption to capital]. მე აქცენტს ვაკეთებ იმ მრავალ ფორმაზე, რომლის მეშვეობითაც კაპიტალი შრომას მის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებისას [subsumes] იქვემდებარებს და არა მისი ექსპლუატაციური ფუნქციის ფიქსირებულობაზე.

სახელმწიფო

ავტონომისტი მარქსისტი ნეგრის მიხედვით (1989), გვიან კაპიტალიზმს ახასიათებს მოქნილი, დროებითი, დეცენტრალიზებული და დეტერიტორიალიზებული შრომის ორგანიზების ფორმები, რომლებიც ქარხნის კედლების მიღმა გადიან. ავტორი ამტკიცებს რომ კაპიტალიზმი შრომას ქარხნის მიღმა იქვემდებარებს და მთლიანად სიცოცხლის ფორმაში აღწევს, განსხვავებით ინდუსტრიული კაპიტალიზმისგან, რომელიც შრომას ქარხანაში წარმოების ორგანიზების მეშვეობით იქვემდებარებდა. ინდუსტრიული კაპიტალიზმის მასობრივი მუშებისგან განსხვავებით, გვიანი კაპიტალიზმის სოციალიზებული მუშები არა მხოლოდ ქარხანაში მიმდინარე წარმოებისა და

კვლავწარმოების მთელ რიგ აქტივობებში ექვემდებარებიან ღირებულების კანონს, არამედ და აგრეთვე ოჯახსა და თემში.

ნეგრი აგრეთვე ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ფუნდამენტურ როლს ასრულებს შრომის ტერტიარიზებასა და სოციალიზებაში და 'უკედლო ქარხნების' შექმნაში (Negri 1989: 105). გაერთიანებულ სამეფოში, ლეობორისტული მთავრობის ხედვა მსუბუქ, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე და უკლასო პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაზე — ეროვნული და ადგილობრივი კანონების მეშვეობით განხორციელდა. შედეგად მოხდა მეტალურგიული ინდუსტრიის, მისი საამქროების, შრომითი პროცესებისა და სამუშაო ძალის გაარაფორმალურება, დაქუცმაცება, მინიატურიზება და თანდათანობითი დამალვა და საჯარო თვალთახედვის არედან მოცილება. მაგალითად, PAYE (Pay-As-You-Earn) სქემამ, რომელიც გადასახადს უშუალოდ დასაქმებულისგან იღებს, საგადასახადო ტვირთი დამსაქმებლიდან დასაქმებულზე გადააქვს და ხელს უწყობს არაფორმალურ შეთანხმებებს, რომლებიც კვეთს ან ანაცვლებს ქარხნებში სახელფასო ურთიერთობებს. გარდა ამისა, კანონი რომელიც ე.წ. 'ოჯახურ ფირმებს' (ფირმებს რომელსაც 20 დასაქმებულზე ნაკლები ყავთ) საგადასახადო შეღვათებს აძლევს და 'საჯარო ანგარიშვლადებულების' სამართლებრივი ვალდებულებისგან ათავისუფლებს[6], ასევე, მუშათა კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობისან — ფორმალურად ახდენს დროებითი მუშების გამოყენების დერეგულირებას და ხელს უწყობს მცირემასშტაბიან კაპიტალიზმს და არაფორმალურ ბიზნესებს, რომლებიც ცდილობენ თავი აარიდონ გადასახადებს, ნაკლები მოგება აღრიცხონ და გამოიყენონ პროფკავშირებში გაუწევრიანებელი მუშები. რეგიონულ დონეზე შრომის ტერტიარიზება კვლევისა და განვითარების და მანუფაქტურულ მრეწველობებში ტრენინგებიდან ფონდების სათემო ასოციაციებისკენ და მოხალისეობრივი სექტორებისკენ ფონდების გადამისამართებით მოხდა.[7] დაბოლოს, ბიტი და ფოთირგილი (2004) დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს 'გულუხვი' ავადმყოფობის შემწეობის პოლიტიკა ნიღბავს ინდუსტრიული უმუშევრობის რეალურ მასშტაბს და ახალისებს შრომისუუნარობის შემწეობაზე მოთხოვნას და არა მრეწველობაში დასაქმებისთვის გადამზადებას. [8] შეფილდში ინდუსტრიულ უმუშევრებთან მიმართებით, ავადმყოფობის შემწეობის მომთხოვნთა ზრდის შედეგად, დეინდუსტრიალეზება უფრო და უფრო ხშირად სამედიცინო საკითხად განიხილება და არა ინდუსტრიული პოლიტიკის პრობლემად. ოჯახური ურთიერთობების მზარდი გასაქონლება შრომის სამართლებრივ 'გაშინაურებასა' და ინფორმალიზებასთან პარალელურად მიმდინარეობს. ენდკლიფში გაფართოებული ოჯახები და საშინაო სამუშაო ჯგუფები [domestic working groups] ჩნდებიან, რომლებიც სოციალური და ეკონომიკური სერვისების ახალი პროვაიდერები გახდნენ მას მერე, რაც ადგილზე გაქრა სამსახურები, ჯანდაცვა და კეთილდღეობის ცენტრები. კეთლდღეობის კანონმდებლობა, როგორც ქვემოთ ვაჩვენებ, ამ გაფართოებული ოჯახების წევრთა ინდივიდუალისტურ ეკონომიკურ სტრატეგიებს ახალისებს.

---

[6] კომპანიებმა თავიანთი ბალანსის უწყისი ადგილობრივი სავაჭრო პალატისთვის მიაწოდებით უნდა გაასაჯაროონ.

[7] იხ.' South Yorkshire Objective One Programme '(*http://www.goyh.gov.uk/objective1/*).

[8] მათმა კვლევამ აჩვენა, რომ ბრიტანეთში 1,2 მილიონზე მეტი ავადმყოფობის შემწეობის მთხოვნელია, რომლებიც შესაფერისი სამუშაოს არსებობის შემთხვევაში იმუშავებდნენ.

ამ ეკონომიკურმა და სოციალურმა პოლიტიკებმა, ფართოდ გავრცელებულ ქვეკონტრაქტირებასთან ერთად, ენდკლიფის პატარა ხელსაწყოების ქარხანა, მორისი, 'უკედრლო ქარხანად' აქცია, რომლის საწარმოო სივრცემ და დრომ ოჯახები და თემი მოიცვა. მორისის მფლობელი, ბატონი რიდი, მცირე ფირმების კანონმდებლობით სარგებლობს და თავის მოგებასა და სამუშაო ძალას მორისსა და ცისკოს შორის ამოძრავებს. ეს უკანასკნელი, პატარა ქარხანა მოჩვენებაა[9] —ასევე მის მფლობელობაში მყოფი, მაგრამ ფორმალურად დაურეგისტრირებელი — რომელიც მორისის საამქროში, მუშების შეშფოთებული მზერის ქვეშ, ჩემი საველე მუშაობის დროს აშენდა. ბატონ რიდს ცისკოს უხილავი მოგება აინტერესებს და არა მორისის მოგება, რომლის ბალანსს ის მოგება-წაგების გარეშე ინარჩუნებს და რომლის თანამშრომელთა ხელფასებს ის კანონით დადგენილ მინიმუმზე დაბლა ტოვებს. როგორც მფლობელს მას არ აინტერესებს ფირმის მოგება და საამქროს ზედამხედველობასაც არ უწევს. მუშებს სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განვითარების თავისუფლება აქვთ, რაც, თავის მხრივ, აირეკლავს მთავარ საწარმოო პროცესს და ჩაქსოვილია სამეზობლოს სოციალურ და ეკონომიკურ ქსოვილში. ზოგი როგორც თვითდასაქმებული ქვეკონტრაქტორი მოქმედებს და თავის ბიზნესს ანვითარებს, რომელიც მთავარი საწარმოო პროცესის პარალელურია. სხვები სახელფასო შრომას სექსში, ნარკოტიკებში ან სამშენებლო ინდუსტრიებში თვითდასაქმებულობას და ბიზნესს უთავსებენ ან ახლოს მდებარე მეტალურგიულ ქარხნებში ეპიზოდურ მუშაობას. შობის მერე, როცა შეკვეთები იკლებს და კომპანია იხურება, მუშები იძულებულები არიან ეკონომიკური და კეთილდღეობის სერვისები სამეზობლოს სხვა ოჯახებთან გაცვალონ.

ამ სტატიაში მე ვაჩვენებ, რომ წარმოების სივრცეების კვლავწარმოების სივრცეებში გახსნის გამო, ნათესაური კავშირები და პატრიარქალური იერარქიები უფრო და უფრო გაშინაურებულ [domesticated] სამქროებში აღწევს, ხოლო წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობები ვრცელდება ოჯახისა და თემის მზარდად პროდუქტიულ სფეროში.

ნეგრი ამტკიცებს, რომ ქარხანაში შრომის გაარაფორმალურება და ოჯახისა და თემის სივრცეში შრომის ვალორიზაციის [valorization] პარალელური პროცესი, გვიან კაპიტალიზმში შრომის მოქნილი ორგანიზების შედეგია. მაიკსინს-ვუდი (1991) უარყოფს ამ ტელეოლოგიურ თეზისს და ამტკიცებს რომ კაპიტალიზმი, მისი ადრეული ეტაპებიდანვე, ატარებდა შინაგან დიალექტიკას სახელფასო და არაფორმალურ ეკონომიკას შორის, წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის, ოჯახში შრომასა და ქარხანაში შრომას შორის. ამ სტატიაში მე ამ თეზისების ვალიდურობას შევაფასებ.

მომდევნო სამ თავში, ვაჩვენებ სამეზობლოს არაფორმალურ ეკონომიკის გადაჯაჭვულობას მორსის ფორმალურ საწარმოო პროცესთან, სადაც მე შეგირდი მჭედლად [forge apprentice] 18 თვის განმავლობაში ვმუშაობდი. მეორე თავში მე აღვწერ ხალიდის პაბის სოციალურ ინტერაქციებს, რომელიც მორისიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს და სადაც მუშები კვირის ბოლოს ხვდებიან ხოლმე. ამ თავში ქარხნის ეკონომიკას სამეზობლოს უფრო ფართე სოციო-ეკონომიკურ კონტექსტში მოთავსებით განვიხილავ. ბოლო თავში კი, ვფოკუსირდები ენდკლიფში მცხოვრებ ოჯახებზე და

[9] არალეგალური ბიზნესმენები ახალ საწარმოებს ძველ სამრეწველო შენობებში ათავსებენ, რათა ისინი შემოსავლების სამსახურის ინსპექტორებს დაუმალონ.

აღვწერ მათ ურთიერთობას ქარხნის ეკონომიკასა და საკარმიდამო [household] ეკონომიკას შორის.

მორისი

მორისი მდინარე დონის გასწვრივ მდებარე პატარა საამქროა. ის დღეს თვრამეტ მუშას ასაქმებს და დაფუძნებულია 1860 წელს სარკინიგზო კონსტრუქციების, დანა-ჩანგლისა და ბურღებისთვის ხის მხვრეტი იარაღების საწარმოებლად. დღეს მორისი დაახლოებით ოც განსხვავებულ ხის მხვრეტ ხელსაწყოს აწარმოებს. საწარმოო პროცესი შემდეგნაირია: 'ცხელი' განყოფილების (სამჭედლო) შვიდი მუშა პატარა ღუმელში ფოლადის ლუგვებს აცხელებს და ძველი მექანიკური ჩაქუჩების მეშვეობით სასურველთან მიახლოებულ ფორმებად აწრთობს. შემდეგ მათ რამდენიმე საათით გასაგრილებლად ტოვებენ იქამდე, სანამ 'ცივი' განყოფილების (მექანიკური საამქრო) თერთმეტი მუშა მათ არ დაასრულებს, ამოხარჩავს და გააპრიალებს, შემდეგ ყუთებში მოათავსებს და საწყობში გაგზავნის.

საწარმოო პროცესის 'ცხელი' განყოფილება მუშების მიერაა ორგანიზებული და კონტროლირებული, ხოლო მოწყობილობებს მუშები თავიანთ ნელ ტემპს ურგებენ. გამოწრთობა კლავილიფიცირებულ ცოდნას ეფუძნება, რომელიც უსიტყვოთ, უშუალოდ კეთების პროცესში გადაეცემა შეგირდს. შეგირდობა პირად და იერარქტიულ ურთიერთობას გულისხმობს, რომელშიც ეკონომიკურის ნაცვლად, მორალური ასპექტებია წინ წამოწეული. ჩვეულებრივ, შეგირდები უფროსი მუშების მეგობრების შვილები და ნათესავები არიან ხოლმე. 'ცხელი' მუშები ახალგაზრდა მუშებს შეგირდობის სათანადოდ არდაფასებას აბრალებენ ხოლმე. მაგალითად, ტონიმ, ცხელმა მუშამ, შემომჩივლა, რომ

> დღეს ახალგაზედა ბიჭები მოდიან და ელიან რომ შეგირდად მუშაობის გარეშე მიიღებენ ანაზღაურებას ისე, როგორც მათი მეგობრები სხვა რომელიღაც მექანიზებული ქარხანაში. წრთობა ხელოვნების ფორმაა და არა წარმოების უბრალო აქტი. ის 'მექანიკურ ნიჭს' საჭიროებს, კარგ მოჭერას, სხეულში ინტეგრირებულ ცოდნას. წრთობა სექსივითაა, მას მხოლოდ კეთებით სწავლობ, სავარაუდოდ შენზე უფრო გამოცდილთან ერთად . . . *(იცინის).* ფული საქმეს ვერ გასწავლის . . . მისი სწავლა მხოლოდ ფიზიკური დისციპლინით, თავგანწირვითა და განათლებით შეიძლება.

ცხელი მუშები — საშუალოდ 50 წელზე უფროსები და ენდკლიფის დიდი ხნის მაცხოვრებლები — აკონტროლებენ არა მხოლოდ შეგირდობის სისტემას, არამედ რეკრუტირების პროცესსაც ისე, რომ ნათესაობრივი და სამეგობრო კავშირები ცხელ განყოფილებას შრომითი ბაზრის მერყეობებისგან განაცალკევებს.

ცივი განყოფილების მუშები ძირითადად ახალგაზრდები არიან და შეფილდის მუშათა კლასის გარეუბნებში ცხოვრობენ. ცივ განყოფილებაში მუშაობა უფრო სწრაფი, ერთფეროვანი და რეგულირებულია მეტის წარმოებისა და ბონუსების მაქსიმიზების მოთხოვნით. ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, ცივი განყოფილება სამუშაო ძალის მოქნილობის გაზრდაზეა ორიენტირებული. რეალურად, მუშები სხვადასხვა დანადგარებთან ერთმანეთს ენაცვლებიან და ყოველ დილით თავიანთ წარმოებას ახალ შეკვეთებს ურგებენ. ცივი მუშების რეკრუტირება ფორმალური არხებით ხდება (საგაზეთო რეკლამები, დასაქმების ცენტრები) და მას ბატონი რიდი პირადად უწევს

ზედამხედველობას, ვისი ერთადერთი საზრუნავი ისაა, რომ მუშები არ იყვნენ რაიმე პროფკავშირის წევრები.

არაფორმალური ეკონომიკა ქარხანაში

საამქროში ხილული ავტორიტეტის [authority] არარსებობამ მორისში მისვლისას ჩემი გაკვირვება გამოიწვია. მორისის მუშები ხშირად ჩივიან რომ საამქროში უფრო მეტი მენეჯმენტი უნდა იყოს და ჯონს იმაში აკრიტიკებენ რომ თავის ავტორიტეტს არ იყენებს და დროის უმეტეს ნაწილს ცისკოში ატარებს. ტონის და ბობის ავტორიტეტი უფრო მეტად ჩანს დანარჩენ მუშახელზე, ვიდრე ჯონის. რეალურად, ბობი, როგორც ფირმის ტექნიკური მემონტაჟე, დანადგარების განლაგებას უზრუნველყოფს, ადგენს გაწეული შრომის მიხედვით ასანაზღაურებელ თანხას, ის ასევე აკონტროლებს კომპანიის საათსაც, რადგან როდესაც მუშები დილით აგვიანებენ და თუ მათ ამის დასაბუთებული მიზეზი აქვთ, როგორც წესი ის საათს უკან წევს ხოლმე. ტონის, ბობისა და საჭმედლოს კიდევ რამდენიმე უფროსი ასაკის მუშას ფაქტობრივი კონტროლი აქვთ საამქროზე, არა მხოლოდ დანადგარების ტექნიკური ცოდნის გამო, არამედ ენდკლიფში მათი სოციალური და ნათესაობრივი კავშირების გამო მომხმარებლებთან, ფოლადის მწარმოებლებთან, ჯართის ვაჭრებთან და მეორადი დანადგარების გამყიდველებთან. როგორც შემდეგ ვაჩვენებ, ცხელი მუშები ამ არაფორმალურ ქსელს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, რათა სამუშაო დღის განმავლობაში არაფორმალურად აწარმოონ და გაყიდონ მორჩენილი ფოლადი, ხელსაწყოები ან მექანიკური ნაწილები. ქვეკონტრაქტორთა, მყიდველთა და მომმარაგებელთა ეს სტაბილური ქსელი მფლობელისთვისაც სასარგებლოა, რომელიც, სწორედ ამ მიზეზის გამო, საამქროს კონტროლის მათზე დელეგირებას ახდენს იქამდე, სანამ სისკოსთვის სატეხების წარმოება შეყოვნების გარეშე მიდის. მფლობელი ამაყობს რომ მორისი ოჯახური ბიზნესია არაფორმალური შრომითი ურთიერთობებით და ‘ჰორიზონტალური’ მენეჯმენტით. შემდეგ თავში მე ვაჩვენებ რომ საამქროში ‘ოჯახური ბიზნესისა’ და არაფორმალური სოციალური ურთიერთობების ეს იდეოლოგია მუშების ფრაგმენტაციას ახდენს.

ზემოთ განხილული ფორმალური სახელფასო სტრუქტურა მიახლოებითი მაჩვენებელია იმისა თუ როგორ ხდება ქარხანაში შრომის ანაზღაურება. თვის ბოლოს, ხელფასის დღეს, ფორმალური ხელფასები და ბონუსების რაოდენობა მუშებსა და მფლობელებს შორის და ასევე თავად მუშებს შორის, თავიანთი შიდა კრიტერიუმების მეშვებით, მოლაპარაკებების შედეგად დგინდება.

ხელფასის დღეს, საამქროში ორი შრომითი ბაზარი ჩნდება: ერთს უფროსი მუშები აკონტროლებენ, მეორეს მფლობელი. პირველი, თვის ნაწარმის ღირებულებას, რომელიც გრეჰემის არც თუ ისე კარგი მეხსიერებისა და გაურკვეველი გამოთვლების მიხედვით დგინდება, შემდეგ საწყობში შენახულ პროდუქტთა ღირებულებას ადარებენ. საწყობში ყველაფრის გადათვლის შემდეგ, ბონუსების საბოლოო მოცულობაზე რთული მოლაპარაკებები იწყება და არაერთი არაფორმალური შეთანხმება დგება მფლობელსა და ცალკეულ მუშებს შორის. მფლობელი მუშებისთვის ნაღდში და არაოფიციალურად გადახდისას, პირად გარემოებებს და მათ მეორე შემოსავალს ითვალისწინებს ხოლმე. მაგალითად, დიდ დეივს, რომელიც ასევე კეთილდღეობის შემწეობას იღებს, უფრო მეტს

იღებს, ვიდრე ტედი და სტივი, რომლებსაც მეორე სამსახური მშენებლობაში და ტრანსპორტში აქვთ.

საამქროს მეორე მხარეს, ტონი და ბობი მუშებს შორის ანაწილებენ იმ შემოსავალს, რომელიც მიიღეს კომპანიის ფოლადის ნარჩენების ვაჭრობისგან, ასევე დანადგარების და წარმოების არაფორმალური ქვეკონტრაქტირებით, რომელსაც ისინი სამეზობლოში აორგანიზებენ. ამ ანაზღაურებაში ასახულია მუშების არაფორმალურ საწარმოო პროცესში ჩართულობა და არა ფორმალურში. უფროსი მუშები თავიანთ შეგირდებთან იერარქიულ პოზიციას მათთვის საჩუქრის ფორმით გაცემული ნაღდი ანგარიშწორებით ამყარებენ.

ამრიგად, მორისში სახელფასო ურთიერთობები თანაარსებობს სხვადასხვა არაფორმალურ დათქმებთან: მუშის მიერ წარმოებული პროდუქტების ოდენობა ფიქსირებული ტარიფით ანაზღაურდება; ნახევარგანაკვეთური და მეორადი სამუშაო ნაღდი ანგარიშწორებით ნაზღაურდება. ეს სხვადასხვა არაფორმალური დათქმები მუშებს ჰყოფს ახალგაზრდა მუშებად, რომლებიც ნამდვილად არიან კაპიტალს დაქვემდებარებული [subsumed], და უფროს მუშებად, რომლებიც არ არიან დაქვემდებარებული და იქცევიან როგორც თვითდასაქმებულები და დანადგარების გამოყენების ქირას უხდიან მფლობელს. საამქროში ბატონი რიდის არყოფნისა და მენეჯმენტის არაფორმალური სტილის გამო, უფროსი მუსები 'საოჯახი ფირმის' უფროსები ხდებია, რომლებიც წვრთნიან და მართავენ რეკრუტირების პროცესს, ასევე აჯილდოვებენ ან სჯიან 'ახალგაზრდა ბიჭებს' ფორმალურ და არაფორმალურ შრომით პროცესში მათი პირადი შენატანის მიხედვით.

არაფორმალური წარმოება

მორისის მუშები ქვეკონტრაქტორებს უკვეთავენ ისეთი სატეხების წარმოებას, რომლებშიც მცირე ბონუსს იღებენ და თვითონ ქვეკონტრაქტორებად მუშაობენ სხვა ფირმებისთვის, რათა დამატებითი შემოსავალი გამოიმუშავონ. ეს არაფორმალური საწარმოო ქსელები მთავარი საწარმოო პროცესის პარალელურად მიმდინარეობს და მენეჯმენტის ჩარევის გარეშე ხდება იმ პირებს შორის, რომლებსაც სამეზობლოში სოციალური კავშირები აქვთ. ქვეკონტრაქტირების ამ ფორმას არა მხოლოდ მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელი აქვს, არამედ გრძელვადიანი შედეგებიც, როგორიცაა სამეზობლოში სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

მორისის თანამშრომლები არაფორმალურ საწარმოო პროცესში ორნაირად მონაწილეობენ. აუტსორსინგზე გატანის ან აუტსორსირებულ სამუშაოზე დათანხმების გადაწყვეტილებას ყველა მუშა საერთო წესებზე შეთანხმების საფუძველზე იღებს. ასეთი ტრანზაქციის საბაზისო ეკონომიკური წესი დაბალბონუსიანი ხელსაწყოების წარმოების, მაღალი მოგების მქონე ხელსაწყოების წარმეობით ჩანაცვლება. სხვადასხვა ადგილობრივ ფირმას შორის აუტსორსირებული წარმოების ქსელი სამი ფაქტორითაა შესაძლებელი. პირველი, ამ პატარა ფირმებს საამქროში ფორმალური ზედამხედველობა არ აქვთ და მათ მუშებს ერთდროულად შეუძლიათ საწარმოო პროცესის 'ფორმალური' და 'არაფორმალური' მიზნებით წარმართვა. მეორე, ისინი ერთმანეთთან ფიზიკურად არიან ახლოს და ენდკლიფში ცხოვრობენ, რომელიც საშიშ რაიონადაა ცნობილი. ფიზიკური სიახლოვე ზრდის მწარმოებლებს შორის განაწილების ეკონომიას, ხოლო მათი საშიშ

რაიონში მდებარეობა — რომელსაც სხვა რაიონში მცხოვრები ხალხი ზოგადად თავს არიდებს — ამცირებს პოლიციის, მენეჯერების, კეთილდღეობის ოფიცრებისა და საგადასახადო ინსპექციის წინაშე ხილვადობის რისკს. დაბოლოს, ეს არაფორმალური მწარმოებლური ქსელი თაობრივი ნიშნითაა სტრატიფიცირებული. [10] იერარქიის ფსკერზე მცირე სვეტშოპებია, რომლებსაც მხოლოდ არაკვალიფიცირებული ბავშები მართავენ ან მასში არიან დასაქმებულები[11], როგორც მაგალითად ფოული როუდის სამჭედლოა, რომლის ხუთი თინეიჯერი მუშა მორისისთვის ძალიან დაბალ ფასად ფოლადის ნაჯახებს აწარმოებს. ქსელის თავში მორისის მსგავსი დიდი ფირმები დგანან, რომლებსაც უფროსი მუშები და თვითდასაქმებული ოსტატები მართავენ და მათზე უფრო ახალგაზრდა ნათესავების და შეგირდების შრომის ექსპლუატირებით დიდი საინჟინრო ფირმებისთვის ქვეკონტრაქტორებად მუშაობენ. სამეზობლოში თავიანთი სტატუსისა და კავშირების გამო, უფროსი მუშები აკონტროლებენ ამ არაფორმალურ მწარმოებლურ ქსელს და მისგან გამომუშავებული არაფორმალური შემოსავალის მთავარი მოსარგებლეები არიან. მეტალურგიული კორპორაციების მიერ ქვეკონტრაქტირებაის ფართო გამოყენება ბრიტანეტში გავრცელებული პრაქტიკაა. მაგალითად, ფევრ (1987) აჩვენებს, რომ 1980-იან წლებში ბრიტანეთის ფოლადის კორპორაციამ პორტ ტალბოტში წარმოება ადგილობრივ 'სვეტშოპებს' დაუკვეთა.

ენდკლიფის არაფორმალური საწარმოო ქსელში მონაწილეობის მეორე ტენდენცია გულისხმობს გაცვლისა და ინდივიდუალისტური ამოცანების უფრო შეზღუდულ სფეროს. რეალურად, ზოგი საწარმოო ტრანზაქცია მხოლოდ ცხელი განყოფილების მუშებისთვისაა. ეს იმიტომ რომ, ცხელ მუშებს სამუშაო დღის განმავლობაში უფრო მეტი არასაწარმოო დრო აქვთ, ვიდრე ცივ მუშებს, ისინი ასევე ფლობენ ხელსაწყოებს და აკონტროლებენ შეგირდების შრომას. სამუშაო დღის განმავლობაში ბობი ხელსაწყოებს პირადი კლიენტებისთვის აწარმოებს და ხშირად საამქროს თავის ხელსაწყოებიანად ტოვებს, რათა ქათმების სასაკლაოს ტექნიკური მომსახურება გაუწიოს, რომელიც ქუჩის მეორე მხარესაა ან ფლეტჩერების საცხობის ღუმელს. სხვა ცხელი მუშები ადგილობრივ მეტალურგიულ ქარხნებში არაოფიციალურად არიან დასაქმებული ან სეზონურ სერვისის მუშებად (ღუმელის კალატოზად, მუშა ტექნიკოსად, დასუფთავება, დამონტაჟება) ან ნახევარგანაკვეთზე მომუშავე კონტრაქტორებად (კოქსის საცავში, ღუმელში ან საგლინ საამქროში). ეს საკონტრაქტო სამსახურებში არ არსებობს კეთილდღეობის, ჯანდაცვის ან უსაფრთოების დაზღვევა და საათობრივად, 2-3 ფუნტით ანაზღაურდება. შეფილდში და სამხრეთ იორკშირში ენდკლიფი მეტალურგიული ინდუსტრიისთვის[12] დროებით სამუშაო ძალის რეკრუტირების დიდი ცენტრია, ეს სამი მიზეზის გამოა ასე. პირველი, მისი მაცხოვრებლები არ არიან გრძელვადიანი უმუშევრები და ამიტომ უდროებით სამსახურებს ფრო თანხმდებიან. მეორე, დროებითი მუშები ძალიან კვალიფიცირებულები არიან და შეუძლიათ ამუშაონ და შეაკეთონ

[10] ენდკლიფში წარმოების უთანასწორო ურთიერთობები განსხვავდება განსხვავდება იმ ჰორიზონტალური არაფორმალური ურთიერთობებისგან, რომლებიც იტალიის ინდუსტრიული რაიონების მცირე საწარმოების კონტექსტში განვითარდა (Trigilia 1990).

[11] მშრომელი ბავშვების ასაკი, რომლებსაც მე შევხვდი, 10-დან 18 წლამდე მერყეობს.

[12] რკინისა და ფოლადის კონფედერაციის ოფიცრის თქმით, შეფილდის ფოლადის ინდუსტრიაში 10000 კონტრაქტორია. ენდკლიფში ადგილობრივი მოსახლეობის ერთი მესამედი ოფიციალურად არის დასაქმებული ფოლადისა და ხელსაწყოების მრეწველობაში და მინიმუმ 1000 კაცი და ქალი ამ ინდუსტრიებში არაფორმალურადაა დასაქმებული (შეფილდის საქალაქო საბჭოს სტატისტიკა).

მოძველებული საგლინი დგანები, ძველი ღმელები და მიგდებული საფრეზავი დანადგარები, რომლებსაც ‘თანამედროვე’ მეტალურგიული კორპორაციები იყენებენ. დაბოლოს, როგორც ქვემოთ ვაჩვენებ, ენდკლიფის სამუშაო ძალის კვლავწარმოების ფასი ძალიან დაბალია.

ცხელი მუშების არაფორმალური აქტივობები მფლობელისთვის სრულად უცნობი არაა, თუმცა იგი ღიად მაინც არ უშლის ამის კეთებას, რადგან სამეზობლოში ბობის ბიზნეს ქსელებს გადამწყვეტი როლი აქვს ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოების ზრდაში მაშინ, როცა სტაბილური მყიდველებისგან შეკვეთები კლებულობს ხოლმე.

მორისის კონტექსტში, უფროსი მუშები წვრილი კაპიტალისტებივით მოქმედებენ, ან მფლობელის სახელით ახდნენ საამქროში შეგირდებისა და ახალგაზრდა ბიჭების შრომის ექსპლუატაციას ან რაიონის მცირე ქვეკონტრაქტორების შრომის ექსპლუატირებას ახდენენ. თუმცა, ისინი თავადაც მუშაობენ ქვეკონტრაქტორებად, დროებით მუშებად და არაკვალიფიცრებულ მომსახურე მუშებად საერთაშორისო მეტალურგიული კორპორაციებისთვის.

მათი მექანიკური ცოდნისა და რაიონში მათი სოციალური კავშირების გამო, ცხელი მუშები სამმაგ როლს ირგებენ: ხელსაწყოების ადგილობრივ ეკონომიკაში სუროგატი კაპიტალისტების, ფოლადის გლობალური ეკონომიკაში მუშების, ხოლო ქარხნის ფორმალურ ეკონომიკასა და რაიონის არაფორმალურ ეკონომიკას შორის შუამავლების როლს.

შეფილდში შრომისუნარია კაცი მოსახლეობის 8 პროცენტი სამშენებლო ინდუსტრიაშია დასაქმებული. ენდკლიფში, ინდუსტრიაში დასაქმებულთა რეალური მასშტაბი დაახლოებით 20 პროცენტია. მორისის მუშები ხშირად თავიანთ შემოსავალს გარკვეული სამშენებლო სამუშაოებით ავსებენ, ასევე ინტერიერის მოწყობის, დაშლის, მებაღეობის, შეღებვის და ადგილების კეთილმოწყობის სამუშაოებით, რომელსაც ისინი ადგილობრივ ქვეკონტრაქტორებთან ნათესაობრივი ან სოციალური კავშირებით პოულობენ. მშენებლობის, მებარეობის, დეკორის და ღებვის უნარებზე მოთხოვნა შეფილდის დასავლეთ გარეუბნებში საშუალო კლასის მაცხოვრებლებისგან მოდის, ხოლო ადგილების კეთილმოწყობის სამუშაოებს ქალაქის საკრებულო უკვეთავს. ვინაიდან სამშენებლო სექტორი იმავე გაფართოებულ სოციალურ ქსელებს და შრომის ორგანიზების ფორმებს ეყრდნობა (ქვეკონტრაქტირება, სანარდო სამუშაო, დღიური შრომა), რომელსაც ხელსაწყოების ინდუსტრია იყენებს, ადგილობრივი მეტალურგები ხშირად ასევე თვითდასაქმებულები არიან სამშენებლო ინდუსტრიაში.

მორისში ნაწარმოები ხელსაწყოების ფორმალური ტრანზაქციები ქარხანაში ნაწარმოებ ნივთთა მთლიანი ბრუნვის მხოლოდ მცირე ნაწილია. რეალურად, მუშები რაიონის სოციალურ ქსოვილში ჩართულ მრავალ არაფორმალურ ტრანზაქციას უწევენ ორგანიზებას.

ამ არაფორმალურ ტრანზაქციებში ყველაზე მომგებიანი ნარჩენებით ვაჭრობაა. მორისში ორნაირი ნარჩენებით ვაჭორებ: მცირე ნარჩენები და დანადგარების ნარჩენები. მცირე ნარჩენებით — დანადგარების მცირე მექანიკური ნაწილებით, ტელევიზორის სპილენძის მავთულებით ან ჩამჭერებით — ძირიტადად პატარა ადგილობრივი ოჯახური ფირმები ვაჭრობენ. ეს ფირმები მათთან მოტანილ ნივთებში წონის მიხედვით იხდიან ფულს,

ხშირად მათთან ჯართს ბოშები, უსახლკაროები ან ადგილობრივი ხულიგნები აბარებენ. მართალია მორისის მუშები ამტკიცებენ რომ მათ მიერ გაყიდული ჯართი უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ამ ფირმების მიერ გაყიდული, ბობი ასეთ ჯართის ვაჭრებთან ხშირად თანამშრომლობს, მათგან მექანიკურ ნაწილებს ყიდულობს და სამუშაო დღეის განმავლობაში საამქროში დაგროვილ მცირე ნარჩენებს მათზე ყიდის. დანადგარების ნარჩენები — მცირე გამომჭრელები, სტატორები და ჩაქუჩები — ზოგადად ბობის საამწყობო სახელოსნოშია ხოლმე და მისი გატანა ბატონი რიდის ყურადღების მიქცევის გარეშე მარტივად შეიძლება. იგი მათ ნედზე ყიდის, ადგილობრივ ჯართით მოვაჭრეზე.

ნედი 1980-იან წლებში ენდკლიფის მეტალურფიული ფირმების დახურვით გამდიდრდა და დღეს ის ადგილობრივ ჯართის ბაზარში დომინირებს. მასზე ამბობენ რომ კარგი კავშირები აქვს ბიზნეს ჯგუფებთან და პოლიციელებთან, დაბინძურებულ ჯართის ბიზნესში მათი საერთო წარსულის გამო.[13] ნედი ასევე ადგილობრივ ვაჭრებთან ქვეკონტრაქტებს აფორმებს ჯართის მომარაგებაზე და არაოფიციალურად ასაქმებს 'შოტ-ჰენდ' ბილის მსგავს რამდენიმე არაკვალიფიცირებულ მუშას.[14] ბილიც კარგ ფულს აკეთებს ნედის საწყობიდან მცირე ნარჩენების გამოპარებით და ბოშა ვაჭრებისთვის მიყიდვით. ნედის მსგავსი ვაჭრები ასევე მეორადი დანადგარებით ვაჭრობენ მცირე ზომის ფირმებთან. ენდკლიფში ეს ბაზარი უაღრესად მომგებიანია. რეალურად, ნედი დანადგარებს 'ჯართის ფასად' ყიდულობს და შემდეგ მათ 'მეორად' დანადგარებად ყიდის, რაც შესაძლებელია ბობის მსგავსი გამოცდილი ზეინკალ-ამწყობების შეკეთებით და ტექნიკური მომსახურებით. ბობი და სხვა ცხელი მუშები დამატებითი შემოსავლისთვის უაღრესად დამოკიდებულები არიან ჯართით ვაჭრობაზე, ხოლო მორისის მენეჯერი და მფლობელი ხელს არ უშლის ნედთან არაფორმალურ ტრანზაქციებს, ვინაიდან ფირმას ძველი დანადგარების 'ახლით' ჩანაცვლება სჭირდება. ძველი დანადგარების ახლად გასაღებით, მფლობელი ბერავს საამორტიზაციო ხარჯებს და ამით ზრდის კომპანიის ფარულ მოგებას.

მეორად დანადგარებს გრძელი და საინტერესო ცხოვრება აქვთ. ისინი ათასობით მილს გადიან, სხვადასხვა საამქროებს ერგებიან და მათი გამოყენების კონტექსტის მიხედვით იცვლიან ღირებულებას. მაგალითად, 1980-იან წლებში, დაიხურა ენდკლიფის ცნობილი ფირმა — 'Brown Bayleys'. ნედმა შეიძინა კომპანიის ღუმელი და მისი დახურვიდან მალევე თურქ ბიზნესმენს მიყიდა. 1990-იან წლებში ღუმელი თურქეთიდან შვედეთში მიგრირდა, სადაც ის ენდკლიფის ფირმის მენეჯერმა მიტოვებული იპოვა. მენეჯერმა ღუმელი 1995 წელს უკან ენდკლიფში დააბრუნა, შეაკეთა და მომდევნო სამი წლის განმავლობაში იყენებდა სანამ ფირმა არ დაიკეტა და ღუმელი კვლავ ნედის ეზოში არ დაბრუნდა. საბითუმო ჯართი, ძვირად გაყიდული საგლინი დგანები და დაშლილი ღუმელები შეფილდიდან ეგვიპტეში ან იემენში მოგზაურობენ, მისდევენ საერთაშორისო განვითარების ტრაექტორიებს, სადაც ვაჭრობა ფაქიზი დიპლომატიითა და ფინანსური რაციონალობის მეშვეობით ხდება.

მჭედლები, რომლებიც ქარხნის ხელსაწყოებს ფლობენ, სპეციალიზებულ ინსტრუმენტებს ქმნიან — ჩაქუჩებს, საღებავის ღოჯებს, საჭრისებს, მაშებს საწნეხი

---

[13] 1980-იან წლებში, ფოლადის მთავარ კომპანიებში ურანითა და პლუტონიუმით დაბინძურებული ჯართის არსებობას პოლიციის მიერ გამოძიებების სერია მოჰყვა, რომელმაც მარკეტინგის მენეჯერებსა და ჯართის ვაჭრებს შორის ფარული გარიგებები გამოავლინა.

[14] 13 წლის ასაკში, ნარკომოვაჭრის თოფის გასროლამ ბილის ხელი დაუსახიჩრა.

ჩაქუჩებისთვის — რომლებსაც ხელსაწყოების მაღაზიებზე ან ადგილობრივ მუშებზე ყიდიან. ისინი ასევე ახდენენ ფრთეულა ბურღების გადაკეთება და შემდეგ ენდკლიფ როუდის 'ინტერიერის დეკორის' მაღაზიებზე ყიდიან, რომლებიც, თავის მხრივ, ბურღებს როგორც კალატოზის იარაღებად ყიდიან. გარდა ხელსაწყოების ამ არაფორმალური ყიდვა-გაყიდვისა, მუშები ასევე ცვლიან მოპარულ საქონელს, სათევზაო ეკიპირებას, ნარკოტიკებს და იაფ ჯინს. ეს არაფორმალური გაცვლა ქარხანას ენდკლიფის არალეგალურ ეკონომიკასთან აკავშირებს, რომელიც 'ნივთების გაცვლის მაღაზიიასა'[15] და 'ხალიდების' პაბის გარშემო ტრიალებს.

ზემოთ უკვე მიმოვიხილე ის სხვადასხვა არაფორმალური ეკონომიკური კონფიგურაციები, რომელიც მორისში ჩვეულებრივ წარმოებასთან თანაარსებობს. მე ასევე ვაჩვენე თუ როგორ ახდენენ უფროსი მუშები, ენდკლიფში თავიანთი სოციალური კავშირებით მეშვეობით, არაფორმალური სამუშაო პროცესებისა და მეორადი საქონლის ბაზრის კონტროლს და როგორ იზიდავს ქარხანა დროებით შრომას. ახალგაზრდა მუშები თავიანთი სარჩოსთვის სრულად არიან დამოკიდებული მორისისგან მიღებულ ხელფასზე და უფროს მუშებს კაპიტალისტრობაში ადანაშაულებენ და მათი არაფორმალური აქტივობების ხარჯზე სარგებლის ნახვაში. ეს თაობათაშორისი კონფლიქტი ნიღბამს ფაქრს, რომ უფროსი მუშებიც ამავდროულად მორისში მცირე მეწარმეები არიან და მეტალურგიულ ინდუსტრიაში დროებითი მუშები, სადც ისინი განსხვავებულ კაპიტალისტურ ურთიერთობებს ექვემდებარებიან. ამრიგად, მორსის არაფორმალური ეკონომიკა აქუცმაცებს სამუშაო ძალას 'ცენტრალურ' და 'პერიფერიულ' მუშებად და ნიღბავს კაპიტალზე მათ საერთო დაქვემდებარებულობას, რაც მორისში არსებული მწარმოებლური ურთიერთობების მეტალურგიული ინდუსტრიის კაპიტალისტურ ურთიერთობებში ინკორპორირებით ხდება.

ხალიდის პაბი

ახლა მე 'ხალიდს' მივუბრუნდები, ადგილობრივ პაბს, რათა მორისის ეკონომიკა სამეზობლოს უფრო ფართო სოციალურ და ეკონომიკურ ქსოვილში დავინახოთ. ხალიდი ენდკლიფის ოთხ პაბს შორისაა, სადაც კვირის ბოლოს ცხელი განყოფილების ოთხ მუშასთან ერთად საველე სამუშაოს ვატარებდი. ადგილობრივი დასაქმების ადგილების, სამედიცინო და კეთილდღეობის ცენტრების დახურვის და მათი ქალაქში გადმოსახლების გამო, ხალიდი არა მხოლოდ დასვენების ადგილია, არამედ ეკონომიკური და კეთილდღეობის ინსტიტუტიც.
ხალიდის პაბში, ყოფილი ადგილობრივი მუშათა კლასი — ამჟამად 'უმუშევრებად', 'მუშებად' და 'თვითდასაქმებულებად' დაყოფილები — ერთმანეთში ირევიან. პაბი სამი მთავარი ოთახისგან შედგება, რომლებიც მთავარ სივრცეში გადის, სადაც ადგილობრივ ალაოს ასხამენ. ერთი ოთახი პულის სათამასოდ ქალებისთვისაა შენახული, მეორეში იემენელები ტელევიზორს უყურებენ და დარტსს თამაშობენ, მესამე ოთახი 'კლიფის ბიჭებს'[16] აქვთ დაკავებული თავიანთი სნუკერის მატჩებისთვის. წარსულში იემენელები ბევრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ადგილობრივებთან ერთად და თავადად 'კლიფელ ბიჭებად' ითვლებოდნენ. თუმცა, სამ ოთახს შორის მაინც რჩება უხილავი საზღვრები და ამიტომ იემენელები იშვიათად ხვდებიან სნუკერის

[15] ნივთების გაცვლის მაღაზიები ['Swap shops'] ადგილებია, სადაც მოპარული ნივთები იაფად იყიდება.
[16] ადგილობრივი თეთრკანიანი მოსახლეობა.

ოთახში, ბიჭებს იშვიათად მიაქვთ თავიანტი ლუდი ტელევიზორის ოთახში, ხოლო სნუკერის მაგიდის გარშემო ქალები ბიჭებთან არასდროს შედიან პირდაპირ კონფლიქტში.

‘უმუშევრები’ სტივის მსგავსი ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო შემწეობით ცხოვრობენ. სტივი მთელი კვირის განმავლობაში სვავს და როცა ხალიდში მიდის, ფული აღარ აქვს ხოლმე რომ გაერთოს და ამიტომ მოწყვეტილია ხოლმე დანარჩენი სტუმრების სმას და ხუმრობებს. ‘უმუშევრობის შემწეობის’ მიმღებები ‘შოტ-ჰენდ’ ბილის მსგავსი ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთ სახელმწიფო შემწეობას სხადასხვა დროებითი სამუშაოებით ავსებენ. ბილის შეუძლია სასმელების ყიდვა და შესაბამისად მას სასმელებსაც სთავაზობენ და ‘მუშებისთვის’ შესაფერ პატივსაც სცემენ. ‘მუშების’ კატეგორია მოიცავს ხელფასზე მომუშავეებს სტაბილური სამსახურით, ხელფასზე მომუშავეებს რამდენიმე სამსახურით და ხელფასზე მომუშავეებს, რომლებიც უმუშევრობის შემწეობას იღებენ. ‘თვითდასაქმებულები’ ან ‘მფლობელები’ ყოფილი მუშები არიან, რომლებმაც გამოიყენეს თავიანთი სამსახურიდან გათავისუფლების საკომპენსაციო ფული და ადგილობრივი კავშირები და ჯართით, ფოლადით ან ქვანახშირით ვაჭრობას მიყვეს ხელი. მუშები გახლეჩილები არიან მათ შორის ვინც პატივს სცემს ასეთ ადამიანებს და მათ ვისაც არ მოსწონთ ისინი და რომლებსაც ‘შუამავლებს’ ეძახიან, რადგან ისინუ მხოლოდ ‘ვაჭრობენ, მაგრამ არაფერს აწარმეობენ’. დაბოლოს, სამუდამოდ დახეიბრებულები — ‘მებარე’ ტერისა და ‘შეშლილი’ ჯეკის მსგავსი ადამიანები — პაბის აქტივობებს მცირედი მანძილიდან ადევნებენ თვალს, რადგან მათ სნუკერის სათამაშოდ თითები აკლიათ. მიუხედავად ამისა, მათ თავიანთი ხელგაშლილობის გამო პატივს სცემენ. რეალურად, ვინაიდან საშემოსავლო დახმარებაზე მყოფ შშმ ადამიანებს მთელი წლის განმავლობაში არ შეიძლება ჰქონდეს 3000 ფუნტზე მეტი დანაზოგი, ისინი ხშირად თავიანთი საკომპენსაციო ფულის ნახევარს ბიჭებისთვის სასმელებით ყიდვაში ხარჯავენ.

ხალიდი რამდენიმე კეთილდღეობის სერვისს გასცემს. პირველი, ის ფუნქციონირებს როგორც დასაქმების ადგილობრივი ცენტრი. 1980-იან წლებში, ოდესღაც პოლიციის შენობის წინ მდგარი ენდკლიფის ‘შრომის ბირჟა’ ქალაქის ცენტრში გადავიდა და კერძო ‘დასაქმების სააგენტო’ [job-link] გაიხსნა. მე პირველივე გასაუბრებიდან მალევე მივხვდი, რომ დასაქმების სააგენტო საოფისე სამსახურებს სთავაზობს დასვენების (სამორინეებში, მოლებში), მომსახურების (ქოლ ცენტრებში, მარკეტინგულ კომპანიებში) და სათემო სექტორებში, მაგრამ არ სთავაზობს მანუფაქტურულ მრეწველობაში. ადგილობრივი უმუშევრები დასაქმების სააგენტოში არც კი მიდიან, რადგან სჯერად რომ მათი შემოთავაზებული სამსახურები არ ასახავს რაიონის რეალურ ეკონომიკას, რომელიც მეტალურგიულ და ხელსაწყოების ინდუსტრიაზე დგას. მომსახურების სექტორში მუშაობის ნაცვლად, კლიფის ბიჭები დროებით სამსახურებს ან სახელმწიფო შემწეობას ამჯობინებენ. ხალიდი დასაქმების ცენტრის ფუნქციას ითავსებს, სადაც სნუკერის მატჩების განმავლობაში, რომელიც “‘მფლობელების’ გუნდს” (რომელშიც შედის ჯართით მოვაჭრე ნედი, ფოლადით მოვაჭრე მიკი, მშნებელობის მთავარი კონტრაქტორი ფრედი და ქვანახშირით მოვაჭრე ჯო) “‘მუშების’ გუნდს” (ტონი, ტედი, ბრაიანი და მე) შორის იმართება — ფიზიკური სამსახურები ნაწილდება და ხელფასებზე შეთანხმებები იდება. ხალიდში ასევე არაფორმალური და არალეგალური ეკონომიკური შეთანხმებებიც იდება. ასეთ საქმიანობებს შორისაა ალკოჰოლის, თამბაქოს და ნარკოტიკების ტრანსპორტირება და შენახვა მდინარე დონის გასწვრივ მდებარე

სასაწყობე კონტეინერებში, მოპარული საქონლით ვაჭრობა და ბავშვების ნარკოკურიერებად, მშენებლებად ან ზეინკლებად რეკრუტირება. არალეგალური ეკონომიკიდან შემოსული ფული, რომელსაც ხალიდი და კომიტეტის[17] სხვა წევრები უწევენ ადმინისტრირებას, სხვა ბიზნესებში რეინვესტირდება: ის ან იმ ადგილობრივ მუშებზე გაიცემა სესხებად, რომლებსაც თავიანთი ბიზნესის დაწყება უნდათ ან ფინანსური პრობლემების მქონე ადგილობრივებზე, ან 'საჩუქრის' სახით აძლევენ ადგილობრივ პოლიციელებს და საგადასახადო ინსპექტორებს.[18]

ხალიდი ასევე სათემო ცენტრის ფუნქციას ატარებს. პარასკევ და შაბათ ღამეს ღამის ცვლაში მომუშავე მარტოხელა დედები თავიანთ შვილებს და ჩვილებს სალისა და პეგის ცეკვის კურსზე ტოვებენ. 81 წლის ალი ხალიდში ყოველ საღამოს მიდის, რათა ჯეკისთან, პაბის ქალ თანამშრომელთან იჭორაოს, ხოლო კვირის ბოლოს ტედისთან, ბრაიანთან, ტონისთან და ჩემთან ერთად ბინგო და დომინო ითამაშოს. მისი ასაკი და უნათესავობა — ასევე მისი გულის 'ჟანგიანი' ელექტროსტიმულატორი, რომელიც ზოგჯერ ვერ მუშაობს და მას გულის შეტევები მოსდის — პაბში მუდმივი წუხილის მიზეზია, როცა ალფი იქ არ მიდის ხოლმე. ჯეკი, იქ მისი სასიამოვნო ყოფნით ხშირად ჭირისუფლებისთვის და მარტოსულებისთვის მრჩეველის როლს ასრულებს ხოლმე, ხოლო 'მებაღე' ტერი სამართლებრივ დახმარებას გასცემს კეთილდღეობის საკითხებზე და ყოველთვის მზადაა შრომისა და პენსიების სამმართველოს ნიუანსებში თავისი უზარმაზარი ცოდნა რამდენიმე ბოთლის სანაცვლოდ პაბის მეგობრებს გაუზიაროს. უსახლკაროებს, ნარკოტიკ და ალკოჰოლ დამოკიდებულებს, ასევე 'მიმალვაში მყოფებს', პაბის სხვენს უთმობენ ხოლმე.

სნუკერის ოთახი კაცების სივრცეა, სადაც კუნთებს და ოქროს ბეჭდებს ატრიალებენ ხოლმე, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ და სადაც ადგილობრივ პოლიტიკის ცოცხალი განხილვა მიდის ხოლმე. განსახვილველი თემები მოიცავს იემენელი მუშის გარდაცვლებას, რომელსაც 'სპეშელ სტილზ'-ში 200 კილოგრამიანი ფოლადის ლუგვი დაეცა, დერნელის სათევზაოში ზონაში დიდი კობრის გაუჩინარებას და მისი მფლობელის საეჭვო გარიგებებს, ჰეროინის ბაზრის შემცირებას, რაც ადგილობრივ ახალგაზრდებში კრეკის მოხმარების ზრდასთანაა დაკავშირებული, ასევე ქალაქის ცენტრში პროსტიტუციის ზრდას, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივი ბორდელების გადარჩენას. სამეზობლოს ამბები — სამსახურებიდან გათავისუფლებები, ჩხუბები, პოლიციის რეიდები, სათევზაო მატჩები — ხალიდის პოლიტიკური დისკუსიების გულია, ხოლო თუ 'შეშლილ' ჯეკს არ ჩავთვლით, ხალხი იშვიათად ერევა 'მაღალ პოლიტიკაში'. 'შეშლილი' ჯეკი პაბში ერთადერთია, რომელსაც უფლება აქვს ზოგადი პოლიტიკური განცხადებები აკეთოს. როცა 'შეშლილი' ჯეკი პოლიტიკაზე საუბრობს, ხმამაღლა იგინება, დემონურად იცინის და თავის აუდიტორიას თავისი ნახევარი თითის მიშვერით იწვევს ხოლმე: 'იმედი მაქვს ჯოჯოხეთში მოვხვდები, იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ შევხვდები იმ . . . ქალბატონ ტეტჩერს — მისი სახე მაღაროელის სახესავით შავი იქნება — და მთელ ჩემს მარადისობას მის ტრაკში დიდი ჩანგლის ტაკებით გავატარებ'.

---

[17] ენდკლიფის ყველაზე უფროსი და გავლენიანი მაცხოვრებლები.

[18] კომიტეტის ოფიციალური ფუნქციაა პაბის წევრების წარდგენა, საწევროს შეგროვება და ამ სახსრების განკარგვა.

მიუხედავად იმისა, რომ ხალიდში ქალები უმეტესობა არაფორმალურ სოციალურ სერვისებს გასცემენ, ხოლო ახალგაზრდა ბიჭები არაფორმალური ფიზიკური შრომის უმეტესობას ასრულებენ, თეთრკანიანი უფროსი კაცები და იემენური თემის ლიდერები აკონტროლებენ ადგილობრივ ეკონომიკას და პაბის კომიტეტს, სადაც დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება. სნუკერის მაგიდის გარშემო მფლობელებსა და მუშებს შორის კონფლიქტი რიტუალური და დეპოლიტიზებული ხდება; სნუკერის ამხანაგებისადმი ტედის ერთგულება ნიღბავს უფრო ფართო ინტერესებს, რომლებიც საერთო აქვს კომიტეტში მფლობელებთან. უფროსი ასაკის კაცები ადგილობრივ ეკონომიკას აკონტროლებენ, ხოლო ადგილობრივი პოლიტიკა ზრდის მათ აღქმულ აგენტობას მიუხედავად მზარდი სიღარიბისა, რომელიც აქუცმაცებს და ჰყოფს მათ ოჯახებს [households].

არაფორმალური ეკონომიკა ოჯახში

შეფილდში სახელმწიფოს კეთილდღეობისა და საბინაო პოლიტიკებმა ხელი შეუწყო ნუკლეარული ოჯახების გაფართოებულ ოჯახებად გარდაქმნას და გაზარდა ამ უკანასკნელის როლი ადგილობრივ — არაფორმალურ და ფორმალურ — ეკონომიკაში. მაგალითად, ფაქტი, რომ სახელმწიფო უფრო მაღალ უნარშეზღუდულობის, საშემოსავლო ან ბავშვის ყოლის შემწეობას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც განაცხადებენ რომ დამოუკიდებლები არიან (თავიანთი პარტნიორისგან ან მშობლებისგან), ნეგატიურად ზემოქმედებს ქორსინებებზე და სტაბილური ნუკლეარული ოჯახების ჩამოყალიბებაზე და ახალისებს ინდივიდუალისტურ ეკონომიკურ სტრატეგიებსა და ოჯახების გაყოფას. [19] მეორე მხრივ, ფაქტი რომ სახელმწიფოს საბინაო შემწეობები საცხოვრებელ ხარჯებს არ ფარავს (გაზი, ელექტროენერგია, წყალი, სანტექნიკა) ინდივიდებს ისევ გაფართოებული ოჯახებისკენ იზიდავს. გარდა ამისა, ენდკლიფში ადგილობრივი სკოლების, სამედიცინო და დასაქმების ცენტრების დახურვამ გაზარდა არაფორმალური მხარდამჭერი ქსელების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ავადობის, ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების, ფინანსური სირთულეების, ასევე ახალშობილებსა და მოხუცებზე ზრუნვის საჭიროების დროს. ბრიტანეთში, ახალი ლეიბორისტების მთავრობამ გააგრძელა ყოფილი ინდუსტრიული თემებისთვის კეთილდღეობის გარანტიების შეკვეცის კონსერვატიული პარტიის პოლიტიკა, რითაც, ფაქტობრივად, ყოფილი სამრეწველო სექტორის მუშათა ოჯახებს აიძულეს თავად გაეწიათ ეს მხარდაჭერა.[20] 1980-იან წლებში ენდკლიფიდან მუშათა კლასის ოჯახების რელოცირებამ და ადგილობრივების მფლობელობაში მყოფი სახლებისა და მუნიციპალური ბინების დანგრევამ მაცხოვრებლები, რომლებმაც უარი თქვეს ტერიტორიის დატოვებაზე,

---

[19] ლეონარდი (1998) ამტკიცებს, რომ ახალმა კანონმდებლობამ სამუშაოს ძიების შემწეობისა და საოჯახო საგადასახადო კრედიტის შესახებ, რომელმაც უმუშევრობის შეღავათების შესახებ არსებული კანონმდებლობა შეცვალა, ეკონომიკის ღარიბ სექტორში ინდივიდუალისტური ეკონომიკური სტრატეგიების ზრდას შეუწყო ხელი.

[20] დიკსი, ვედინგტონი და კრიტჩერი (1998) აჩვენებენ რომ უელსის სოციალური სერვისების პროვაიდერები ხელს უწყობენ გაფართოებული სანათესაოების შექმნას და შიდა-ოჯახურ გაცვლას ყოფილ მაღაროელ ოჯახებს შორის, რათა შეკვეცონ ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და საგანმანათლებლო სერვისების ფორმალური გარანტიები.

აიძულა ექირავათ პატარა უვარგისი სახლები ან ბედ ენ ბრექვესტის (B & B) ოთახი, რომელსაც ადგილობრივი ბიზნესმენები ან თემის ლიდერები ფლობდნენ.[21]

სოციალური პოლიტიკის კვლევები (Bowman 2001) და ოფიციალური სტატისტიკები ყურადღებას ამახვილებს ნუკლეარული ოჯახის ჩამოშლაზე, რაც შეფილდის აღოსავლეთში მეტალურგიული ქარხნების დახურვას მოჰყვა. ეს კვლევები ხშირად მარტოხელა ქალებისგან შემდგარი ყოფილი მუშათა კლასის ოჯახების სოციალურ ფრაგმენტაციაზეა ფოკუსირებული, რომლებიც მომსახურების ინდუსტრიაში ნახევარგანაკვეთზე მუშაობენ, მათი შვილები სკოლაში აღარ დადიან, ხოლო მათი პარტნიორები მათთან ერთად აღარ არიან და უმუშევრები არიან. ჩემი კვლევა ყურადღებას ამახვილებს არა ადგილობრივი ბირთვული ოჯახების ფრაგმენტაციაზე, არამედ მათ გაფართოებულ ოჯახებად ტრანსფორმაციაზე, რომლებიც შედგებიან თანაცხოვრობაში მყოფი მამინაცვლებისგან/დედინაცვლებისგან და მარტოხელა მშობლებისგან [step and lone parents], ბევრი ბავშვისგან [22] და სხვაგან მცხოვრები ბიოლოგიური მამებისგან. ამ გაფართოებული ოჯახების ძირითადი შემოსავლის წყარო კვლავ ბიოლოგიური მამები არიან, რომლებიც თავიანთ შვილებს ადგილობრივ ინდუსტრიებში ასაქმებენ და თავიანთი ცოლებისა და ნათესავების — რომლებიც სტაბილურად ან დროებით ცხოვრობენ ოჯახში — საერთო შემოსავალს განკარგავენ.

ასეთი პატრიარქალური გაფართოებული ოჯახების ერთ-ერთი მაგალითი ტედისა და ფრიდას ოჯახია. ტედი — მორისის მჭედელი — 58 წლისაა და ენდკლიფში ცხოვრობს. ტედი ხუთი წლის წინ განქორწინდა, როცა მისი ‘პარტნიორი’ ფრედა გამოდვიდა საცხოვრებლად. ტედიმ და ფრიდამ ერთმანეთი ფერტ ბრაუნში გაიცნეს, სადაც ტედი მჭედლად მუშაობდა, ხოლო ფრიდა საფრეზავ ჩარხზე. მას შემდეგ რაც ფრიდამ გაიგო რომ მკერდის კიბო ჰქონდა, მან მფრეზავად მუშაობა შეწყვიტა. ის ახლა შაბათ საღამოობით სტიუარდესად მუშაობს ენდკლიფის ლიბერალურ კლუბში, როცა ქალებს იღებენ ხოლმე და ადგილობრივ ფირმაში ნახევარი განაკვეთით მუშაობს საფრეზავ ჩარხზე, როცა ტედის შემოსავალი უმცირდება ხოლმე და ოჯახს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. ფრიდა თავის ნახევარგანაკვეთურ სამსახურებს სახლში ოჯახის წევრებისთვის დასუფთავების, რეცხვის, ბავშვების მოვლის, საკვების მომზადების და ტანსაცმელების დაკერვის საქმეებს უთავსებს. ფრიდა ასევე მონაწილეობს რაიონის მოპარული ნივთების (ტელევიზორების, ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობების, მანქანების, სარეცხი მანქანების და ველოსიპედების) გაცვლის კომპლექსურ ქსელშიც. ის შეკვეთებს თავისი მეგობრებისგან იღებს და შემდეგ ჯონის, ადგილობრივი ‘ნივთების გაცვლის მაღაზიის’ [swap shop] მფლობელს გადასცემს. როცა საჭირო ‘მეორადი საქონელი’ მოვა, ის მათ ჯონისგან ირებს და თავის მეგობრებში ანაწილებს, რითაც მცირე მოგებას ნახულობს. ტედის ქალიშვილი და ვაჟიშვილი ტედისთან და ფრიდასთან და თავიანთ პარტნიორებთან და შვილებთან ერთად ცხოვრობენ. ოჯახის ბიუჯეტს ისინი კეთილდღეობის ჩეკებით და ნახევარგანაკვეთური სამსახურებით ავსებენ. ისინი ასევე უფასო შრომას ეწევიან საკარმიდამო საქმიანობებისთვის (შეღებვა, სახურავის შეკეთება, მშენებლობა) და დასაქმებულები არიან ტედის მართვის ქვეშ მყოფ რამდენიმე ბიზნესშიც

[21] კანონი რომელიც საბინაო შეღავათებს B&B-ებზე და დროებით საცხოვრებლებზე ავრცელებს გამიზნული იყო ‘ურბანული დეპრივაციის’ ზონებში საკრებულოს საბინაო უზრუნველყოფის ნაკლებობის პრობლემასთან გასამკლავებლად.

[22] ენდკლიფის ოჯახების თითქმის 50 პროცენტს ორი ან მეტი შვილი ჰყავს. ეს ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს აღემატება (1,4 ბავშვი ერთ ოჯახში).

(სივრცის კეთილმოწყობა, საკვებით მომარაგება, ლითონდამუშავება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, პროსტიტუცია). მაგალითად, ჩარლი — ტედის შვილიშვილი — მუშაობს ადგილობრივ სამჭედლოში, ბრაიანთან მშენებლად (ტედის ძმაკაცთან) და ხალიდში ნარკოტიკების გამსაღებლად. კლერი (ტედის ქალიშვილი) მთავარ მენეჯერად მუშაობს ელიზიუმის ბორდელში, რომელიც უოლ სტრიტზე მორისის წინაა. კლერი სატელეფონო შეკვეთებს პასუხობს, საქმეებს აგვარებს ცუდ კლიენტებთან, არეკლამებს სექს მუშაკებს და აგროვებს კლიენტების პრეფერენციებს, რომელსაც შემდეგ კვირის განრიგში ასახავს. კლერზე ასევე ჭორები დადის რომ თავის სერვისებს სთავაზობს ‘დასავლეთიდან’ მოსულ ‘მდიდარ’ ადამიანებს. ბორდელი ოთხი აღმოსავლეთ ევროპელი გოგოსგან შედგება, ყველანი თინეიჯერები არიან, რომლებიც პირველ სართულზე არსებულ ორ მასაჟის ოთახში მუშაობენ. ისინი თავიანთი ყოველკვირეული შემოსავლის მხოლოდ 20 პროცენტს იღებენ, დანარჩენ 80 პროცენტს კი კლერი და ბორდელის მფლობელი ინაწილებენ. გოგოები თავიანთი არასამუშაო დროის უმეტესობას მოსაცდელი ოთახის გრძელ ტახტზე დამსხდარი ტელევიზორის ყურებაში ატარებენ. კლერი ამბობს რომ ელიზიუმი პატარა ოჯახივითაა და რომ გოგოებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე თავის ნამდვილ ოჯახთან, რომელთანაც ხშირად დაძაბული ურთიერთობა აქვს. რეალურად, კლერი პაბში ხშირად ჩალურჯებული თვალით ჩნდება ხოლმე, თავის მეგობრებთან ჩივის რომ მას ტედიმ კიდევ ერთხელ მოპარა თავისი ხელფასი. თავის მხრივ, ტედი მისი ქალიშვილის უმადურებასა და ოჯახისადმი უპასუხისმგებლო მოქცევაზე ჩივის.

> მან სამსახური ხალიდთან ჩემი პირადი მეგობრობის წყალობით იშოვა და მისი კლიენტების ნახევარი ჩემი პირადი კავშირები და ამხანაგები არიან. კლერს არ ესმის რომ ოჯახი ქარხანასავითაა. მას გუნდური მუშაობა სჭირდება და უფრო გამოცდილების მხრიდან მეცნიერული მენეჯმენტი. დანების გამკეთებლების დროს,[23] ქალები და ახალგაზრდა ბიჭები ოჯახის უფროსისთვის მუშაობდნენ, რომელიც ამავდროულად ბოსიც იყო. დღეს ეს ახალგაზრდა გოგოები ეგოისტები და ხარბები არიან. ისინი არ აფასებენ ოჯახს და არ გრძნობენ მორალურ პასუხისმგებლობას ოჯახის საერთო საქმეში თავისი წვლილი შეიტანონ. ქალები მანქანებივით არიან. ისინი კარგად უნდა დაიჭირო . . . რათა შენი რითმი უკარნახო.

კიდევ ერთი გაფართოებული ოჯახი — რომლის წევრები ერთმანეთთან არც სისხლით და არც კანონით არიან დაკავშირებულები — მილის ‘ბლეკ სპეროუა’. ბლეკ სპეროუ ფიცრებით აჭედილი პაბია, რომლის უკანა ეზოს კედელი შეფილდის დასვენების ცენტრის ღობის გასწვრივაა განლაგებული. დღესდღეობით ბლეკ სპეროუს ჯართით მოვაჭრე ფლობს და მილიზე, პაბის 72 წლის ყოფილ სტიუარდესაზე აქირავებს. როცა მისი ქმარი გარდაიცვალა, მილიმ ის B & B-იდ გადააკეთა და ოთახებს ერთსა და იმავე მუდმივ მდგმურებზე აქირავებს — ძველ მეგობრებზე და ბლეკ სპეროუს პაბის ყოფილ კლიენტებზე — და სხვადასხვა ახალგაზრდა იმიგრანტებზე და მიმალვაში მყოფ ადამიანებზე, რომლებიც კვირის 20 ფუნტს იხდიან და ცოტა ხნით უჩინარდებიან. მილი შენობის მანსარდაში ცხოვრობს; ჯიმი, ‘შოტჰენდ’ ბილი და ‘მებაღე’ ტერი მეორე სართულზე ცხოვრობენ, ხოლო ჰამიდი და გეორგი მესამე სართულზე. პირველ

[23] შეფილდის შინამეურნეობებში დანების შემკეთებლები თავიანთი ოჯახის წევრების შრომას ზედამხედველობდნენ და მათ ნაწარმს ვაჭრებისგან თუ ბატონებისგან დამოუკიდებლად ყიდდნენ.

სართულზე სტივი ‘ოთახ ნომერ სამს’ იკავებს, სადაც ოდესღაც პაბის კომიტეტი ხვდებოდა. ბლეკ სპეროუში შრომის დანაწილება მის მდგუმრების ბოლო შვიდი წლის თანაცხოვრებისას ჩამოყალიბებულ წესებს მიყვება. დილით მილი საუზმეს ამზადებს, ტანსაცმელს რეცხავს და აუთოვებს და ტუალეტს ასუფთავებს. სტივი ელექტრონულ და მექანიკურ მოწყობილობებს აკეთებს, ხოლო ‘შოტ-ჰენდ’ ბილი ხალიდიდან სიგარეტებს და ნარკოტიკებს ყიდულობს და ჯონის ‘ნივთების გაცვლის მაღაზიიდან’ მოპარულ საქონელს, ავეჯსა და ტანსაცმელს ყიდულობს. ჯიმი სეირნობს და ბობს აჭმებს (მილის ძაღლს) და სახლს თევზით ამარაგებს, რომელსაც ის დონში იჭერს. ‘მებაღე’ ტერი მუდმივი შრომისუუნარობის გამო დასაქმების ცენტრში მისი დიპლომატიური უნარებისა და შრომისა და პენსიის სამმართველოს ბიუროკრატიული ნიუანსებში ღრმა განსწავლულობის გამოყენებით თავის კარგ კავშირებს ანვითარებს. ტერის გარდა, რომელიც თავისი შრომისუუნარობის პენსიითაა უზრუნველყოფილი, კარმიდამოს [household] სხვა წევრები დროებითი მუშები არიან, რომლებიც თავიანთ დროს ადგილობრივ ფოლადსასხმელ ქარხანაში ან ჯართის ჩამბარებელ პუნქტებში ატარებენ, ან დასაქმების ცენტრში და უბნის რამდენიმე პაბში, სადაც ისინი დილიდანვე იწყებენ სმას. გეორგი ჯართის ჩამბარებელ პუნქტში მუშაობდა, რომელსაც ბინის მესაკუთრე ფლობს. როცა იიგი გაუჩინარდა, ბლეკ სპეროუში ბევრი ჭორი დატრიალდა. ზოგი ამბობდა რომ ის ვაჭარმა მოკლა, რადგა დიდი ეკონომიკური უთანხმოება მოუვიდათ და რომ ის ახლა შიდა ეზოში ჯართის გროვის ქვეშაა დამარხული. სხვები ამბობდნენ რომ გეორგიმ ძველ რაიდერის მექანიკურ ჩაქუჩში 10 კილოიანი ჰეროინის პაკეტი იპოვა და თავის მშობლიურ ქვეყანაში მიგრირდა, სადაც ის ახლა ცნობილი ნარკობარონია.

ბლეკ სპეროუ სახელმწიფოს კეთილდღეობის პოლიტიკებისა და შრომითი ბაზრის დერეგულირების შედეგად გაჩენილი თავისებური საშინაო სფეროს მოწყობის მაგალითია. ბედ ენ ბრექვესტზე და დროებით ჭერზე საბინაო შემწეობების გავრცელება მიგრანტებს, ოჯახიდან გამოქცეულ ბავშვებს და მარტოხელა პირებს ხელმისაწვდომ საცხოვრებელს სთავაზობს. შრომითი ბაზრის დერეგულირება ხელს უწყობს, წვრილი კაპიტალისტების მიერ, ადგილობრივ არაფორმალურ ან არალეგალურ ეკონომიკაში მათ არარეგულარულ დასაქმებას. ბლეკ სპეროუ ასევე განასახიერებს ენდკლიფში წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის კავშირს. ადგილობრივი წვრილი კაპიტალისტები ხშირად ბინის მესაკუთრეები არიან, რომლებიც ამავდროულად თავიანთ მდგმურებს ასაქმებენ და დამსაქმებლის როლთან ერთად ბინის გამქირავებლის როლის შეთავსებით სამუშაო ძალაზე თავიანთ კონტროლს ზრდიან.[24]

ადგილობრივი ქარხნების დახურვამ არა მხოლოდ ნუკლეარული ოჯახის ჩამოშლა გამოიწვია, რასაც სოციალური პოლიტიკის მკვლევრები განიხილავენ ხოლმე, არამედ, დეინდუსტრიალიზებამ ენდკლიფში ასევე ხელი შეუწყო საერთო საოჯახო [household] ბიუჯეტების შექმნას, ოჯახთაშორის წარმოებას და სავაჭრო გარიგებებს, ასევე ‘ფართო ნათესაურ’ ქსელებს (Carsten 2000), რომლებიც ნუკლეარული ოჯახის საზღვრებს სცდებიან. ზოგჯერ, როგორც ეს ბლეკ სპეროუში ხდება, მეგობრობის სტაბილური კავშირები და სიახლოვე ეკონომიკური აუცილებლობის გამო ჩნდება, რაც წააგავს აკრას გეტოებში სუბპროლეტარებს შორის გაჩენილ მეგობრობებს (Hart 1988). თუმცა, ხშირ

[24] შინამეურნეობების ეპოქაში შეფილდში დამსაქმებელ-მემამულის როლი საყოველთაოდ გავრცელებული იყო, როცა შეგირდები ოსტატ-მჭრელებთან ერთად მდინარე დონის გასწვრივ პატარა სახლებში ცხოვრობდნენ.

შემთხვევაში, ოჯახებს შიგნით კონფლიქტები ქალებსა და ბავშვებს და უფროს კაცებს შორის ჩნდება, რომლებიც, როგორც ტედი იტყოდა, 'თავიანთ ოჯახებში ყაჩაღებივით მოქცევა უწევთ.' თუმცა, როცა ტედი საშინაო ეკონომიკას ზედამხედველობს და მისი ოჯახის პროდუქტიულობას აუმჯობესებს, ის მხოლოდ ბატონი რიდის წარმომადგენლის როლში მოქმედებს და მისი წარმოების პირობების კვლავწარმოების დაბალ ფასს უზრუნველყოფს. თუმცა, მისი ნათესავების თვალში, ტედი ექსპლუატატორი ბოსი და კაპიტალისტია, რომელიც მათი შრომით სარგებელს იღებს.

დასკვნა

ენდკლიფის მაცხოვრებლებმა დეინუსტრიალიზებასა და სახელმწიფოს კეთილდღეობის და ეკონომიკურ პოლიტიკებს გაფართოებულ და მოქნილ ოჯახურ კონფიგურაციებში თავიანთი შემოსავლების გასაერთოობით უპასუხეს, ეკონომიკური ურთიერთობები რაიონის სოციალურ იერარქიაში ჩართეს, ხოლო არაფორმალური გაცვლა და წარმოება ქარხნის ფორმალურ ორგანიზებაში გაურიეს.

ბრიტანეთის შემთხვევაში, პალის მიერ არაფორმალური ეკონომიკის განმათავისუფლებელი ზეგავლენის პოზიტიური შეფასება დაზუსტებას საჭიროებს. თუ დავუშვებთ რომ სახელმწიფოს მიერ შრომის დერეგულირებამ რაიონის არაფორმალური აქტივობების ზრდა გამოიწვია და მაშასადამე, რესურსები გადაანაწილა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი, იქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ არაფორმალურ ეკონომიკაში შექმნილი დოვლათი რაიონში არათანაბრად ნაწილდება. პირველი, შრომითი ბაზრის დერეგულირებით ყველაზე მეტ სარგებელს დიდი მეტალურგიული ქვეკონტრაქტორები ნახულობენ, რადგან მათ შეუძლიათ პროფკავშირებში გაუწევრიანებელი დროებითი მუშების არმიას დაეყრდნონ და მათ ანაზღაურება არაოფიციალურად გადაუხადონ. მეორე, ნედის მსგავს წვრილ კაპიტალისტებს ბობისა და ტედის მსგავსი მუშების შრომის განკარგვა ხალიდში ჩამოყალიბებული არაფორმალური ურთიერთობების მეშვეობით შეუძლიათ ან კაპიტალზე და საბინაო ბაზარზე კონტროლით. მესამე, ბობის და ტედის შეუძლიათ ექსპლუატაცია გაუწიონ უფრო ახალგაზრდა ცივი მუშებისა და შეგირდების და ასევე ფაულის სამჭედლოს თინეიჯერების შრომას. ბოლოს, ოჯახებში კაცები ბავშვებისა და ქალების შრომას აკონტროლებენ.

მაიკლ ბურავოი თავის გავლენიან წიგნში წარმოების პოლიტიკა, ამტკიცებს რომ სახელმწიფო წარმოების სოციალურ ურთიერთობებზე ზეგავლენას ახდენს იმ პირობების განსაზღვრით, რომლითაც სამუშაო ძალის კვლავწარმოება ხდება და რომლითაც მისი გამოყენება ხდება სამუშაო ადგილზე (1985: 126). ბურვოის მიხედვით, ჰეგემონური კაპიტალიზმი მუშების თანხმობას ეყრდნობა, განსხვავებით დესპოტური კაპიტალიზმისა, რომელიც იძულებაზე დგას. ჰეგემონური კაპიტალიზმის პირობებში, სახელმწიფო ამცირების მუშების დამოკიდებულებას თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვაზე კეთილდღეობის პოლიტიკების მეშვეობით, რომლებიც წარმოებაში მონაწილეობის გარეშე დამოუკიდებლად ცხოვრების მინიმალურ დონეს უზრუნველყოფდნენ და ინდუსტრიული ურთიერთობების პოლიტიკების მეშვეობით მუშებისთვის გარანტირებულ საბაზისო უფლებებს. მუშებისთვის სახელმწიფოს მიერ გარანტირებული საბაზისო უფლებები და საარსებო მინიმუმი კაპიტალიზმს დესპოტურიდან ჰეგემონურად გარდაქმნის, ესე იგი, რეჟიმად, რომელიც სამუშაო ძალის

ექსპლუატირებას თანხმობის და არა იძულების მეშვეობით ახდენს. საამქროში ჰეგემონური კაპიტალიზმი მუშებს წარმოებაში რთავს მათთვის წარმოების პროცესზე მეტი კონტროლის შეთავაზებით და ასე ხელს უწყოს არაფორმალური საამქროს კულტურის განვიტარებას, რომელიც კაპიტალისტთა ღირებულებების კვლავწარმოებას ახდენს და ზრდის მათ მოგებას.

ბურავოის ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან ის ყურადებას ამახვილებს კაპიტალის ინტერესების კვლავწარმოებაში მუშების სუბიექტურობის როლზე. ის ასევე იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი სახელმწიფოს პოლიტიკებს საამქროს მიკრო-სოციოლოგიას აკავშირებს. მიუხედავად ამისა, ბურავოი ძირითადად წარმოების ეტაპზე გაჩენილ მუშების თანხმობაზე აკეთებს აქცენტს. ჩემი ხედვით, თანხმობა და იძულება დიალექტიკური ცნებებია, რომელთა შესწავლა უნდა მოხდეს, როგორც წარმოების, ისე კვლავწარმოების სფეროში და მიკრო და მაკრო დონეებზე.

მაკრო-ეკონომიკურ დონეზე, სახელმწიფო ხელს უწყობს მეტალურგიული სექტორის დეინდუსტრიალიზებას, დასაქმების ანაზღაურებადი [wage-work] შრომის ქვეკონტრაქტირებულ და არარეგულარულ შრომად გარდაქმნით და სოციალური და კეთილდღეობის გარანტიების შემცირებით. უფროსი მუშები და კვალიფიცირებული ხელოსნები იძულებულები არიან არარეგულარურ შრომაში ჩაერთონ და სხვა არჩევანი არ რჩებათ, გარდა იმისა რომ მეტალურგიულ ინდუსტრიაში თავიანთი დაბალი ხელფასები არაფორმალური აქტივობებით, თვითმართული საწარმეობით და მორისის მსგავსი არასტაბილური ბიზნეს წამოწყებებით შეავსონ.

საამქროს დონეზე, ამ მუშებს ფირმის მენეჯერიალურ და ბიზნეს საქმიანობებში ჩართვით იზიდავენ წარმოებაში, ეს საქმიანობები კი მათ ანაზღაურებად შრომასაც ემთხვევა. თავიანთი ძალაუფლებითა და ავტორიტეტით, რომელიც სამეზობლოს სოციალურ იერარქიაშია ჩაქსოვილი, ისინი ქარხნის ახალგაზრდა მუშებს და გარე ქვეკონტრაქტორებს წარმოებაში ჩართვას აიძულებენ. საამქროს გარეთ, უფროსი მუშები თავიანთ შვილებს და ცოლებს არაფორმალურ წარმოებაში ჩართვას აიძულებენ და აკონტროლებენ გაფართოებული ოჯახების ფულის ნაკადებსა და შრომას, ოჯახების რომლებიც ენდკლიფში ადგილობრივი საკრებულოს მიერ სოციალური და კეთილდღეობის გარანტიების მოხსნის შემდეგ ჩამოყალიბდა.

შრომის გაარაფორმალურებამ დაარღვია ის კედელი რაც მეტალურგიულ ქარხნებს ხელსაწყოების სახელოსნოებისგან აცალკევებდა, ხოლო საშინაო სივრცეებს სამუშაო სივრცეებისგან. შედეგად, წარმოების კაპიტალისტური ურთიერთობების კვლავწარმოება ნათესაური ურთიერთობების მეშვეობით ხდება. ქარხანაში, ცხელი განყოფილების უფროსი მუშები წარმოებას ნათესაური კავშირების გარშემო აორგანიზებენ და ახალგაზრდა ბიჭებისა და შეგირდების შრომას აკონტროლებენ. ოჯახში ისინი ოჯახის წევრების შრომის ექსპლუატირებას პატრიარქალური ავტორიტეტის გამოყენებით ახდენენ. ამრიგად, შრომის გაარაფორმალურება და ქარხნის კედლების დარღვევა გულისხმობს შრომის დაქვემდებარების [subsumption] ისეთ გამოცდილებას, რომელიც გენდერული და თაობრივი ნიშნითაა ფრაგმენტირებული. ახალგაზრდა და ქალი მშრომელები, შრომით პროცესებზე, ფირმის დანადგარებზე და ოჯახის ფინანსებზე უფროსი ნათესავების კონტროლის გამო მათ კაპიტალისტებად განიხილავენ. უფროსებისთვის კი ახალგაზრდები არიან კაპიტალისტები, ფულისადმი და

დამოუკიდებლობისადმი მათი ლტოლვისა და ძველი ღირებულებებისა და ოჯახზე დაფუძნებული იძულებითი [bonded] შრომისადმი უპატივცემულობის გამო.

ენდკლიფში შრომის გაარაფორმალურებამ ადგილობრივი პატარა ფირმებისა და ტედის მსგავსი უფროსი მუშების კონტროლირებული პატრიარქალური ბიზნესების შემოსავალი გაზარდა. მიუხედავად ამისა, ეს პატრიარქალური ეკონომიკა ამავდროულად კვლავაწარმოებს გლობალური კაპიტალიზმის უხილავ ტრაექტორიებს. რეალურად, როცა ტედი, ყოველკვირეული სნუკერის ჩემპიონატისას, იაფი მუშახელის რეკრუტირებას და თავისი ამხანაგების დისციპლინირებას ახდენს, მას სჯერა რომ ის აძლიერებს თავის ლიდერობას, ბიზნესსა და კონტროლს ადგილობრივ ეკონომიკაზე. ფაქტობრივად, ის რაიონის ფარგლებში ქარხნიდან ნასესხებ მენეჯერიალურ და ორგანიზაციულ ფუნქციებს კვლავაწარმოებს. გარდა ამისა, თავისი ოჯახის აუნაზღაურებელ შრომაზე პატრიარქალური კონტროლით ის კვლავაწარმოებს მეტალურგიულ ინდუსტრიაში მის ექსპლუატირებული არარეგულარული მშრომელობის მდგომარეობას.

ამ მსჯელობიდან ორი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ. პირველი დასკვმა ისაა რომ არაფორმალური ეკონომიკა სხვადასხვა დროსა და სივრცეში განსხვავებულ ფუნქციებსა და შინაარსებს იძენა. ზოგიერთ კონტექსტში არაფორმალური ეკონომიკური აქტივობები იმ გარიყული მშრომელების გადარჩენის სტრატეგიებია, რომლებიც გვიანი ინდუსტრიალიზაციის დინამიკიდან ამოაგდეს და სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფორმალური ეკონომიკური საზღვრების გარეთ მოქმედებენ, რასაც კიტ ჰარტი (2004) ბოლო დროს ამტკიცებდა. ჩემი ეთნოგრაფია აჩვენებს, რომ არაფორმალური ეკონომიკა ასევე შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი იყოს, რისი მეშვეობითაც ის ადგილობრივ შრომის ბაზარს მეტალურგიული ინდუსტრიის მოთხოვნებს უქვემდებარებს. ფორმალურ და არაფორმალურ ეკონომიკებს შორის საზღვრის გავლებით, სახელმწიფო აკონტროლებს ქვეკონტრაქტირებული სამუშაო ძალის ნაკადებს ადგილობრივ ქვეკონტრაქტორებსა და მეტალურგიულ კორპორაციებს შორის. ჰეგემონური ექსპანსიის ჟამს ჰეგემონური სახელმწიფოები ამ ნაკადებს ანელებენ და ზრდიან ანაზღაურებადი მუშახელის და მათი ოჯახების სოციალურ და კეთილდღეობის გარანტიებს, ასევე ამაგრებენ ზღვარს სახელფასო შრომასა და არაფორმალურ შრომას შორის, სამსახურსა და სახლს შორს. ე.წ‘ნეოლიბერალური’ სახელმწიფოები ეკონომიკური სტაგნაციის ჟამს, აჩქარებენ ამ ნაკადებს კეთილდღეობისა და სოციალური გარანტიების შეკვეცით, არარეგულარული შრომის გამოყენების ლეგალიზებით, ინდუსტრიული უმუშევრობის მედიკალიზებით, ოჯახსა და შრომას შორის ზღვრის გაბუნდოვნებით.

მეორე დასკვნა ისაა, რომ გვიან კაპიტალიზმი არ გულისხმობს დეინდუსტრიალიზების რადიკალურ პროცესს და ფიზიკური და ანაზღაურებადი შრომის აუნაზღაურებელ და არამატერიალურ შრომად თარგმნას, როგორც ამას ნეგრი და სხვა პოსტინდუსტრიული საზოგადოების მკვლევარები ამტკიცებენ. არამედ, გვიანი კაპიტალიზმი, მისი ადრინდელი ვერსიის მსგავსად, რიგ წყვილთა მჭიდრო კავშირს ეყრდნობა: ანაზღაურებადი შრომა და საოჯახო წარმოება; რეალური და ფორმალური დაქვემდებარება [real and formal subsumption]; ცენტრალური და პერიფერული შრომა; ქარხნის ანაზღაურებადი ეკონომიკა, ოჯახის ეკონომიკა და რაიონის არალეგალური

ეკონომიკა; და ფული რომელსაც სახელმწიფო ღარიბებისკენ მიმართავს და ფული რომელსაც მათგან იღებს.

კაპიტალისტური მოგების კვლავწარმოებაში არაფორმალური შრომის ფუნქციაზე ხაზგასმით, მე ასევე ყურადღებას ვამახვილებ კონკრეტულ კულტურულ და ისტორიულ ფორმას, რომელსაც დღეს შეფილდში კაპიტალისტური ურთიერთობები იღებენ. შრომითი გარანტიების გაუქმებასთან შერწმული საყოველთაო ქვეკონტრაქტირება, მინიმალური ანაზღაურების კანონის უგულვებელყოფა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების ანულირება, ასევე ბაზისური კეთილდღეობისა და პროფკავშირული უფლებების გაუქმება ახალ 'დესპოტურ კაპიტალიზმს' აყალიბებს (იხ. Burawoy 1985: 149). ეს თანამედროვე დესპოტური კაპიტალიზმი, ადრეული მეცხრამეტე საუკუნის კაპიტალიზმის მსგავსად, ეყრდნობა დიდი ფირმების მიერ ქვეკონტრაქტირებულ სახელოსნო საამქროებსა და მძიმე საშინაო შრომას. ადრეულ კაპიტალიზმში მუშები თავიანთ დამსაქმებელზე იყვნენ დამოკიდებული და მათ დაუნდობლად აიძულებდნენ წარმოებაში ჩართვას, მაშინ როდესაც, დღეს, მორისის მუშებს წარმოებაში , ერთდროულად, იძულებისა და თანხმობის მეშვეობით რთავენ. ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან არარეგულარული შრომის დერეგულირება და საამქროში კაპიტალისტების არყოფნამ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები მისცა იმ ადამიანებს რომლებსაც აქვთ ბიზნეს უნარები და რაიონში საჭირო კავშირები. მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან საბაზისო პროფკავშირული და კეთილდღეობის უფლებების აყრამ გაზარდა გადარჩენისთვის საჭირო უპროფკავშირო, საშიშ და დამქანცველ შრომაზე ინდუსტრიული მუშების დამოკიდებულება. ახალი დესპოტიზმი ასევე გულისხმობს დეინდუსტრიალიზებისა და შრომის გაარარეგულარულების [casualization] გამოცდილებებს, რომლებიც გენდერული და თაობრივი ნიშნითაა ფრაგმენტირებული და არაა მუშათა კლასის შიგნით ჰომოგენური. უფროსი და კვალიფიცირებული მუშები დეინდუსტრიალიზებას აგენტობის, ბიზნეს საქმიანობისა და საშინაო თემზე [domestic community] გაზრდილ კონტროლად აღიქვამენ. უფრო ახალგაზრდა და ქალი მშრომელები კი იმავე პროცესს პატრიარქალურ ექსპლუატაციად აღიქვამენ.

ახალი ლეობორისტი პოლიტიკოსებისა და ავტონომისტი მარქსისტებიას ფუტურისტული წარმოდგენებისგან განსხვავებით, კაპიტალიზმს ახასიათებს არა დიდი ტრანსფორმაციები, ტელეოლოგიური რევოლუციები და წრფივი განვითარების ტრაექტორიები, არამედ, პირიქით, პარადოქსული ინვოლუციები [involutions], ადგილობრივ გარემოებებზე მორგება და სხვადასხვა ელემენტის თავის თავში დროებითი ინტეგრირებება [temporary incorporations]. შეფილდში პოსტმოდერნულობას არ განუვითარებია წარმოების არამატერიალური ფორმები, მოქნილი სოციალური ურთიერთობეიბი და სუბიექტურობები, რომლებიც კლასობრივ და გენდერულ იდიომებს გადალახავდნენ. არამედ, პოსტმოდერნულობა მატერიალიზდა ინდუსტრიული ანაზღაურებადი შრომისა და ბატონყმური შრომის ჰიბრიდად, ნუკლეარული ოჯახისა და პროდუქტიული კაცის პატრიარქალურ იდეოლოგიებად, მასობრივ წარმოებად და საშინაო მეურნეობად, მექანიზებად და მძიმე და დამქანცველ ფიზიკურ შრომად.